პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 202 (9670) | ხუთშაბათი, 27 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. საინფორმაციო ცნობა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 25 აგვისტოს სხდომის შესახებ. 25 აგვისტოს კრემლში (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

შ. ჭოჭუა. — თავმინებებული კოლმეურნეობა და პარტიის რაიონული კომიტეტი (მე-2 გვერდი).

ვლ. თორდუა. — მათ შვილიშვილებთან (მე-2 გვერდი).

ქუთაისი (მე-2 გვერდი).

ვ. ცირეკიძე. — როგორ ისვენებენ ტყიბულელი მეშახტეები (მე-2 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკების შედეგებზე (მე-3 გვერდი).

ოტო გროტევოლის მოხსენება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომაზე (მე-3 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის საგანგებო სხდომა (მე-3 გვერდი).

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება კორეის საკითხზე პოლიტიკური კონფერენციის შესახებ (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

თბილისი (მე-4 გვერდი).

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 1953 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

25 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში გახსნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესია გახსნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ლ. ნ. სოლოვიოვმა.**

რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ტ. გრიშინის** მოხსენება გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ხუთ საარჩევნო ოლქში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ახლადარჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ დეპუტატ **ვ. ნ. პონომარიოვის** წინადადებით სამანდატო კომისიის მოხსენების გამო მიიღო შემდეგი დადგენილება:

„რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენება.

2. ცნობილ იქნას რწმუნებანი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა, რომლებიც არჩეული არიან: 1952 წლის 15 ივნისს სკოვოროდინოს № 184 საარჩევნო ოლქში და სტალინის № 495 საარჩევნო ოლქში, 1952 წლის 26 ოქტომბერს — ლომონოსოვის № 92 საარჩევნო ოლქში და როსლავლის № 579 საარჩევნო ოლქში, 1953 წლის 22 თებერვალს — ენისეის № 142 საარჩევნო ოლქში“.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ლ. ნ. სოლოვიოვი** აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. დამტკიცება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რუსეთის სფსრ 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საკითხი შემოაქვს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს.

2. დამტკიცება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა.

საკითხი შემოაქვს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

დეპუტატ **ნ. ი. ბობროვნიკოვის** წინადადებით უმაღლეს საბჭოს ეს საკითხები ერთხმად შეაქვს სესიის დღის წესრიგში.

შემდეგ თავმჯდომარე რუსეთის სფსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და რუსეთის სფსრ 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს რუსეთის სფსრ ფინანსთა მინისტრს დეპუტატ **ი. ი. ფადეევს.**

ამხ. ფადეევის მოხსენების შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ს. პ. აფანასიევის** თანამოხსენება.

ამით დამთავრდა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა.

25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ

25 აგვისტოს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესიამ მუშაობა დაიწყო საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უდიდესი აღმავლობის ვითარებაში. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX კონგრესისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამას წინათ გამართული მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებით, წარმატებით ასრულებენ თავიანთი სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გრანდიოზულ პროგრამას.

რუსეთის ფედერაციის, საბჭოთა კავშირის თანასწორ მომმე რესპუბლიკათა შორის პირველი რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოსკოვს ჩამოვიდნენ დეპუტატები — დიდი რუსი ხალხისა და რუსეთის სფს რესპუბლიკაში მოსახლე სხვა ხალხების წარმოგზავნილები.

სესიას ესწრება მრავალი სტუმარი — მოსკოვის საწარმოთა ნოვატორები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეომრები.

მთავრობის ლოჟებში არიან რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები. ლოჟებში საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

საღამოს 7 საათია. თავმჯდომარის მაგიდასთან ადგილს იკავებენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ლ. ნ. სოლოვიოვი,** რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები **კ. მ. აბდულინი, მ. ზ. აზიზოვი, ა. ს. ბორისენკო, ა. ა. ილიუშინი, ნ. ა. მურავიოვა, ი. ვ. ოკუნევი, ე. ი. ტრეტიაკოვა.**

დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მთავრობის ლოჟებში ამხანაგებს **გ. მ. მალენკოვს, ვ. მ. მოლოტოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, კ. ე. ვოროშილოვს, ნ. ა. ბულგანინს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ი. მიკოიანს, მ. ზ. საბუროვს, მ. გ. პერვუხინს, პ. კ. პონომარენკოს, მ. ა. სუსლოვს, პ. ნ. პოსპელოვს, ნ. ნ. შატალინს** გამოჩენას.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ლ. ნ. სოლოვიოვი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიას გახსნილად აცხადებს. იგი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ი. ტ. გრიშინს.**

დეპუტატი გრიშინი აცხადებს, რომ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე და მესამე სესიებს შორის ხუთ საარჩევნო ოლქში მოხდა დეპუტატების არჩევნები გამოკლებულთა ნაცვლად. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არჩევნები მოხდა მოსახლეობის დიდი პატრიოტული აღმავლობისა და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში. ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. ხუთივე საარჩევნო ოლქში დეპუტატთა არჩევნები მოხდა რუსეთის სფსრ კონსტიტუციისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

დეპუტატებად არჩეული არიან: ამურის ოლქის სკოვოროდინოს № 184 საარჩევნო ოლქში — **ა. ი. სობენინი,** ქალაქ დონის როსტოვის სტალინის № 495 საარჩევნო ოლქში — **ნ. ა. შერდაკოვი,** ლენინგრადის ოლქის ლომონოსოვის № 92 საარჩევნო ოლქში — **ნ. დ. კაზმინი,** სმოლენსკის ოლქის როსლავლის № 579 საარჩევნო ოლქში — **კ. პ. ადაშჩენკოი,** კრასნოიარსკის მხარის ენისეის № 142 საარჩევნო ოლქში — **ა. ი. კრაპივინი.**

დეპუტატ **ვ. ნ. პონომარიოვის** წინადადებით უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას ყველა არჩეული დეპუტატის რწმუნებათა სწორად აღიარების შესახებ.

უმაღლესი საბჭო იღებს სესიის შემდეგ დღის წესრიგს:

1. დამტკიცება რუსეთის სფსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ანგარიშისა რუსეთის სფსრ 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

2. დამტკიცება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა რუსეთის სფსრ ფინანსთა მინისტრს დეპუტატ **ი. ი. ფადეევს.**

— რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია, — ამბობს იგი, — მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ახალი მძლავრი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ვითარებაში, საბჭოთა სახელმწიფოს და მისი სინთამორისო ავტორიტეტის უფრო მეტი განმტკიცების ვითარებაში. საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო წარმატებით ახორციელებს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების გრანდიოზულ პროგრამას.

ახასიათებს რა რუსეთის სფსრ 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგებს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციის ხალხებმა, ყველა მოძმე ხალხთან ერთად, სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა მრეწველობამ საანგარიშო პერიოდში და 1953 წლის პირველ ნახევარში გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის წარმოების გეგმები. სამრეწველო საწარმოებში უმჯობესდება წარმოების ორგანიზაცია, ძლიერდება ტექნიკური აღჭურვილობა, მაღლდება მუშათა კულტურული დონე; ამ საფუძველზე დიდდება შრომის ნაყოფიერება და მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. წარმატებით არის შესრულებული სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებანი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც. დიდი მიღწევებია კულტურულ მშენებლობაში.

დეპუტატი ფადეევი ამბობს, რომ ამ წარმატებებმა გამოხატულება ჰპოვა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებით. 1951 წელს იგი შესრულდა შემოსავლის ნაწილში 102,9 პროცენტით, 1952 წელს — 100,6 პროცენტით.

რუსეთის სფსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოდგენილია სესიის დასამტკიცებლად 57.552,2 მილიონი მანეთის ოდენობით, შარშანდელთან შედარებით გადიდებულია 3.292,4 მილიონი მანეთით. ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი საჭირო სახსრებით უზრუნველყოფენ რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის შემდგომ განვითარებას.

რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად ნაწილს შეადგენს მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გადასახდელები სახელმწიფო საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ანარიცხებისა და ბრუნვის გადასახადის სახით. მოსახლეობისაგან სახსრების მიღება მცირდება, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირების გზით.

ეხება რა ბიუჯეტის გასავლის ცალკეულ მუხლებს, მომხსენებელი აცხადებს, რომ ბიუჯეტის მთელი სახსრების უდიდესი ნაწილი — ცხრა მეათედზე მეტი გამოყოფილია მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დასაფინანსებლად, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. ეს იმას მოწმობს, რომ რუსეთის სფსრ სახელმწიფო ბიუჯეტი ექვემდებარება საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანებს.

რესპუბლიკაში ხორციელდება კაპიტალურ სამუშაოთა ვრცელი პროგრამა. ახალი ფაბრიკა-ქარხნების, კომუნალური საწარმოების აგებასთან ერთად გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების, სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, საბავშვო ბაღების, ბაგების, კინოთეატრებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა დიდი მშენებლობა. დიდი ასიგნობანი დასახულია სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შესანახავად, კადრების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. 1953-1954 სასწავლო წელს მოსწავლეთა რიცხვი სკოლებში შეადგენს 16.667 ათასს, ამასთან მეხუთე-მეათე კლასებში ისწავლის თითქმის მილიონი კაცით მეტი, ვიდრე შარშანდელ სასწავლო წელს. მატულობს ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები.

ერთიანობად და უფრო მეტად გადიდდა ომამდელთან შედარებით, მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები.

ეხება რა შემდეგ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, დეპუტატი ფადეევი აკრიტიკებს მთელ რიგ სამინისტროებს, კერძოდ, რუსეთის სფსრ საშინაო მასალების მრეწველობის სამინისტროს, რომლის საწარმოებმაც 1952 წელს ვერ შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. დავალებათა შესრულებას თავი ვერ გაართვა მსუბუქი და ყვების მრეწველობის ბევრმა საწარმომაც. ისინი საჭირო ყურადღებას არ აქცევენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ დარგების საწარმოებში, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციებში საკმაოდ არ წარმოებს ბრძოლა თვითღირებულების შემცირებისა და მომჭირნეობის რეჟიმისათვის.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ამოცანა მარტო ის როდია, რომ დროზე და სავსებით უზრუნველყონ შემოსავლის მიღება. პარტია გვასწავლის, რომ სახსრები უნდა ვხარჯოთ, გონივრულად, მომჭირნედ, ისე, რომ არც ერთი კაპიკი უქმად არ დაიკარგოს.

ბიუჯეტის შესასრულებლად საჭიროა გაუმჯობესდეს რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატის, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ხარისხი, გამოყენებულ იქნას არსებული რეზერვები, უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვა.

— რუსეთის სფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება, — ამბობს დასასრულს დეპუტატი ფადეევი, — ხელს შეუწყობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების მიზნით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში დასახული ამოცანების განხორციელებას.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყნის მუშები, გლეხები, ინტელიგენცია პირნათლად გადაჭრიან ამ ამოცანებს და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით უზრუნველყოფენ ჩვენი სოციალისტური საშმობლოს ყველა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას!

თანამოხსენება გააკეთა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ს. პ. აფანასიევმა.** იგი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული დიდი წარმატებანი მკაფიოდ გამოიხატა რესპუბლიკის 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგებით, და წინადადება შეაქვს უცვლელად დამტკიცდეს ანგარიშები რუსეთის სფსრ 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

იგი აღნიშნავს, რომ რუსეთის სფსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადიდება დამაჯერებლად მოწმობს რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარების მაღალ ტემპებს. სოციალისტური მეურნეობის განუწყვეტელ მძლავრ აღმავლობას, მოწმობს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შეაქვს დამტკიცდეს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი, ამასთან გადიდეს იგი 88,4 მილიონი მანეთით, რათა ეს სახსრები მოხმარდეს შემოსავლის გადამეტებას — გასავალზე.

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ მთავრდება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა. შემდეგი სხდომა გაიმართება 26 აგვისტოს დილის 11 საათზე (საათისა).

ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ᲐᲦᲕᲙᲕᲔᲗᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ

საახალხო განათლების შემდგომი გაშლისა და გაფართოებისა, მისი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე დაყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სკოლების მშენებლობის გაჩაღება. სახალხო განათლებისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი ზრუნვის ნათელი გამოხატულებაა ის, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ქალაქისა და სოფლის სკოლების მშენებლობის გადიდება წინა ხუთწლედთან შედარებით დაახლოებით 70 პროცენტით.

ყოველწლიურად ემატება ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს სკოლის ახალი შენობები. მიმდინარე წელს გეგმით საქართველოში სკოლებისათვის 23 ახალი შენობა უნდა აშენდეს. ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისათვის დიდი თანხაა გადადებული. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით საჭირო პირობები იყო შექმნილი იმისათვის, რომ ახალი სასწავლო წელი ბევრ სკოლას ახალ შენობაში დაეწყო. ეს, ცხადია, თავიდანვე შექმნიდა უკეთეს პირობებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

საქმე ის არის — როგორ გამოიყენეს ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, სამშენებლო ორგანიზაციებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა სასკოლო მშენებლობისათვის გეგმით გათვალისწინებული დრო, თანხა, საშენი მასალები, როგორი შემოქმედებითი პათოსითა და ინიციატივით, როგორი მონდომებითა და პასუხისმგებლობის შეგნებით შეუდგნენ თავიდანვე სკოლების მშენებლობას. სამწუხაროდ სკოლების მშენებლობაში სახარბიელო სურათი არა გვაქვს.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ მთელი რიგი სკოლების მშენებლობის ოვით პროექტი აპრილ-მაისშიც არ იყო დამტკიცებული. თბილისში ქუთაისის ქუჩაზე გათვალისწინებული სკოლის მშენებლობა ივნისის ბოლოს დაიწყო, რადგან მშენებლობის პროექტი მხოლოდ 11 ივნისს იქნა მიღებული. ეს კიდევ ცოტაა. მშენებლობის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მშენებლობის თანხას 600 ათასი მანეთი მოაკლდა და გადაცემულ იქნა... სხვა ქალაქის კომუნალური მშენებლობის საჭიროებისათვის. მიმდინარე წლის აპრილამდე გაჭიანურდა თბილისის აზერბაიჯანული სკოლის მშენებლობის, აგრეთვე ქალთა 23-ე და ვაჟთა მე-7 სკოლების შენობებზე მიწების პროექტების შედგენა და დამტკიცება. ქალაქისა და რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციები შეუწყნარებლად აჭიანურებენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას — სკოლების მშენებლობის პროექტების შედგენას. აბა რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო ბაღის მშენებლობის (ლენინის რაიონში) პროექტი ორჯერ იქნა შედგენილი და მშენებლებმა საბოლოოდ დღესაც ვერ მიიღეს ეს პროექტი?

ზოგიერთი რაიონის პარტიულ, საბჭოთა და მშენებელ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ სკოლების მშენებლობა და რემონტი, ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მარტო სახალხო განათლების ორგანოების საქმე იყოს. ძირშივე უნდა აღიკვეთოს ასეთი არასწორი დამოკიდებულება სასკოლო მშენებლობისადმი. მტკიცედ გვახსოვდეს, რომ სკოლა — პარტიისა და მთავრობის ესოდენ დიდი მზრუნველობით გარემოსილი სკოლა — მთელი ხალხის საქმეა, დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა.

ჩვენ ჯერ კიდევ ამ ორნახევარი თვის წინად ვწერდით ქარელის რაიონის ჩამორჩენის შესახებ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში. რაიონის პარტიულ, საბჭოთა, მშენებელ ორგანიზაციებს და თვით სახალხო განათლების განყოფილებას არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნა გაზეთის მითითებიდან. ქარელის რაიონი დღესაც სამარცხვინოდ ჩამორჩება სკოლების აშენებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ რაიონს ყველა პირობა ჰქონდა, სკოლების მშენებლობა დროზე არ დაიწყო, რაისაბჭოს აღმასკომმა ვერ მოახერხა აეთვისებინა რაიონში გეგმით გათვალისწინებული სკოლების მშენებლობისათვის მიცემული თანხა. ასევე ჩამორჩებიან სკოლების მშენებლობაში ლაგოდეხის, ზნაურის, ორჯონიკიძის რაიონები. მცხეთის რაიონმა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დიდი დაგვიანების შემდეგ მოახდინა გარდატეხა ერთი რვაწლიანი და ორი დაწყებითი სკოლის შენობის მშენებლობაში.

სახალხო განათლების ორგანოებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს სათანადოდ არ უდგას მხარში რესპუბლიკის საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო — დროზე არ ამარაგებს საშენი მასალებით. ახლაც, წლის ამ საპასუხისმგებლო პერიოდში მშენებლობებს საკმაო რაოდენობით არა აქვთ ხე-ტყის მასალა.

მშრომელთა მასები ქალაქად და სოფლად უდიდესი სიყვარულით ეპყრობიან სკოლებს, ახალი სკოლების მშენებლობის კეთილშობილურ საქმეს. მაგრამ რაიონის პარტიული ორგანიზაციები და რაისაბჭოების აღმასკომები რატომღაც თავს არიდებენ მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას სკოლების მშენებლობაში.

სკოლების მშენებლობისადმი როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ისევე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების არასაკმაო ხელმძღვანელობისა და სამშენებლო ორგანიზაციების სუსტი მუშაობის შედეგად მხოლოდ 8 სკოლის შენობა იქნება მზად მოსწავლეთა მისაღებად 1 სექტემბერს. წელს გათვალისწინებული 16 მილიონი მანეთიდან 1 აგვისტოსათვის სკოლების მშენებლობაზე ათვისებული იყო მხოლოდ 4.600 ათასი მანეთი.

აღებული ტემპით სკოლების მშენებლობის საქმეში შორს ვერ წავალთ. წლის ბოლომდე კიდევ 13 ახალი შენობა უნდა ჩადგეს მწყობრში.

ამასთანავე საჭიროა ეს ნაკლოვანებანი და ხარვეზები აქედანვე გავითვალისწინოთ მომავალი წლისათვის. გვახსოვდეს, რომ ახალი სკოლების მშენებლობის პროექტები მზად იყოს 1954 წლის 1 იანვრისათვის. ორმოცზე მეტი შენობა უნდა აიგოს მომავალ წელს. ეს დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. აუცილებელია ვიზრუნოთ პროექტების შესადგენად, მშენებლობისათვის სათანადო შიწის ნაკვეთის გამოსაყოფად; მიწის ნაკვეთების გამოყოფისას უნდა გვახსოვდეს სასკოლო ეზო და მისი კეთილმოწყობის საჭიროებანი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა გააუმჯობესონ სასკოლო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა, სათავეში ჩაუდგნენ და სწორად წარმართონ სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობებზე, გაჩაღონ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა მშენებლებს შორის.

სკოლების დროულად და კარგად აშენება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და იგი სერიოზულ მუშაობას მოითხოვს.

ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐ

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ 23-Ე ᲢᲝᲛᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 24 აგვისტო. (საკადესი). რუმინეთის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ რუმინულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 23-ე ტომი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ Ն. Კ. ᲩᲔᲠᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნ. კ. ჩერკასოვის დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა ხელოვნების განვითარების დარგში მისი დამსახურების აღსანიშნავად, ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **ჩერკასოვი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘ.

მოსკოვი, კრემლი 1953 წლის 22 აგვისტო.

თავმინებებული კოლმეურნეობა და პარტიის რაიონული კომიტეტი

სამი წლის წინათ სოფელ შროშის კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. შველიძე. კოლმეურნეებს ეგონათ, რომ ახალი თავმჯდომარე ახლებურად, მთელი ენერგიით წარმართავდა მუშაობას და პირნათლად შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. ნ. შველიძე თვითნებურად მართავდა კოლმეურნეობას, კოლექტიური ხელმძღვანელობის ნაცვლად ერთპიროვნულად წყვეტდა მნიშვნელოვან საკითხებს. ამის შედეგად კოლმეურნეობაში შემცირდა შრომის ნაყოფიერება და შრომადღის ღირებულება.

თავმჯდომარის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ არაერთხელ დაწერილა სიგნალები. ყველა ეს სიგნალი თავს იყრიდა პარტიის რაიონულ კომიტეტში, მაგრამ კოლმეურნეობის მუშაობას საფუძვლიანად არ სწავლობდნენ. ჩანს, არ სურდათ ეწყენინებინათ თავმჯდომარისათვის. ამან თავმჯდომარე კიდევ უფრო გაათამამა. იფიქრა, შეუცველელი მუშაკი ვარო, ყურს არ უგდებდა კოლმეურნეთა ხმას, მათ სამართლიან მოთხოვნებს...

როცა კოლმეურნეთა სიგნალმა ჩვენამდე მოაღწია, გავეცანით კოლმეურნეობის მუშაობას. გამოირკვა, რომ ეს კოლმეურნეობა თავმინებებულ კოლმეურნეობათა რიცხვს ეკუთვნის. აქ წლითიწლობით დაბალ მოსავალს იღებენ, პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი ღრმად არ სწავლობენ კოლმეურნეობას, მის ეკონომიკას, რის შედეგად კოლმეურნეობამ თავი ვერ დაალწია ჩამორჩენას.

წელს რაიონის კოლმეურნეობები ყურძნის უხვ მოსავალს მოელიან. ეს ახარებს ზესტაფონელ კოლმეურნეთა გულს. მაგრამ ასე არ არის სოფელ შროშაში. აქაურ კოლმეურნეებს გული უტყდებათ — სახარბიელო ცოტა აქვთ. კოლმეურნეობის მესვეურთა უპასუხისმგებლობითა და დაუდევრობით ვენახების ფართობი სანახევროდაც არ არის დამუშავებული. ზოგან მსხმოიარე ვენახში სიმინდი დათესეს. სიმინდმა ვაზი დაჩაგრა. ყურძნის მტევნები ნიადაგზე ყრია, მოსავალი კლებულობს. მოუვლელობითა და საკვების უქონლობით დაიხოცა პირუტყვი და სამწუხაროდ, ახლაც არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს პირუტყვის საკვების საკმაო რაოდენობით მოსამარაგებლად.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თუ დავუჯერებთ, კოლმეურნეობამ შარშან მეცხოველეობის განვითარების გეგმა შეასრულა. სინამდვილეში თვალისაჩვენის ფაქტებთან გვაქვს საქმე. გეგმებს ანაღდებენ შეძენილი პირუტყვით, რისთვისაც ყიდიან შრომადღეზე გასანაწილებელ პროდუქტებს. მარტო გასულ წელს შეისყიდეს 70 სულზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. თვითონ თავმჯდომარემ კოლმეურნეობას 4.300 მანეთად მიჰყიდა ერთი ძროხა, რომელიც იმავე წელს მოკვდა.

კოლმეურნეობაში ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯებებს. კოლმეურნეები პირადი საჭიროებისათვის 5 კუბმეტრი შეშის დასამზადებლად იხდიან 128 მანეთს. საფასური თვით კოლმეურნეების მიერ შეტანილ უნდა იქნას კოლმეურნეობის სალაროში. ეს წესი თავმჯდომარემ შეატრიალა, ტყის მცველს დაავალა კოლმეურნეებისაგან უშუალოდ აეღო ფული და რამდენიმე დღის შემდეგ შეეტანა სალაროში. ეს სარფიანი საქმეა თავმჯდომარისა და ტყისმცველისათვის. ამის შედეგად შარშან შეშით შემოსავალი 15 ათასი მანეთი იყო ნაცვლად 40 ათასისა. სად არის დანარჩენი 25 ათასი მანეთი? — ამას ალბათ პროკურატურა გამოარკვევს.

აქ უცნაური წესი შემოღებიათ. კოლმეურნეებმა ოჯახში დამზადებული ჭურჭელი განსაზღვრული რაოდენობით უნდა ჩააბარონ კოლმეურნეობას. წინაადმდეგ შემთხვევაში ახდევინებენ ათას-ორი ათას მანეთს. ჩაბარებული ჭურჭლისათვის კოლმეურნეს უწერენ შრომადღეებს, მაგრამ აქაც ვხვდებით შრომადღეების გაფლანგვის შემთხვევებს. მაგალითად, დავით გაჩეჩილაძეს შარშან კოლმეურნეობისათვის ჭურჭელი სულ არ ჩაუბარებია, 45 შრომადღე კი დაუწერეს. ჭურჭლის დამზადებისა და გაყიდვის ანგარიშწარმოება ისეა არეული, რომ ძნელია შემოსავლის ზუსტად დადგენა.

კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია დისციპლინა. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის შემცირების ძირითადი მიზეზია აგროწესების უხეში დარღვევა. არც ერთი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაო აგროტექნიკურ ვადაში არ სრულდება, შრომითი რესურსები სუსტად არის გამოყენებული კოლმეურნეობაში. გასულ წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია შრომისუნარიან წევრთა ერთ მესამედს. ეს საკითხი ერთხელაც არ შეუსწავლია ზესტაფონის რაიონსაბჭოს აღმასკომს და უწინარეს ყოვლისა მის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს უფროსს აქვს. ა. გიორგაძეს.

კოლმეურნეობაში ირღვევა სახსრების, ავანსების გაცემისა და ნატურალური ფონდების გამოყენების წესი. მაგალითად, მიმდინარე წლის 9 იანვარს ბუჰალტერმა ა. გველესიანს პირუტყვის გამოსაკვებად თვითნებურად მისცა 690 კილოგრამი ქატო. განკარგულებას ხელს არ აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ასეთივე წესით გ. გველესიანს სესხად მიეცა 24 კილოგრამი სიმინდი და სხვ. 189 კოლმეურნეს დღესაც არა აქვს მთლიანად მიღებული შარშანდელ შრომადღეებზე კუთვნილი ფული, მაშინ როცა კოლმეურნეთა ნაწილს ზედმეტად მიღებული აქვს 138.700 მანეთი.

არის ასეთი შემთხვევაც. კოლმეურნე ე. შველიძეს გასული წლის შრომადღეებზე 125 მანეთი ერგება, ხოლო პირად ანგარიშში ეს თანხა ვალად აწერია. ფაქტიურად გამოირკვა, რომ მისი კუთვნილი ფული ვ. შველიძისათვის მიუციათ და მიღებაზე ხელიც მოუწერინებიათ. ანგარიშწარმოებისა და აღრიცხვის დარგში ასეთი არევ-დარევა კოლმეურნეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს და ხელს უწყობს საკოლმეურნეო პროდუქტებისა და თანხების განიავებას. ამასთან უხეშად არღვევენ საფინანსო დისციპლინას, ხელმწიფო ბანკის გვერდის ავლით ხარჯავენ კოლმეურნეობაში შემოსულ თითქმის მთელ თანხებს.

როგორ იბრძვის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად?

— პარტიული ორგანიზაცია ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. მის მუშაობაში გამეფებულია ფორმალიზმი. იგი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების საკითხებს საფუძვლიანად არ სწავლობს და არ საბაუს ქმედით ღონისძიებებს. პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი პ. შველიძე) სამუშაო გეგმაც არა აქვს. კოლმეურნეობაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა თითქმის ჩაშლილია. პარტიული ორგანიზაცია კონტროლს ვერ უწევს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობას, კუდში მისჩანჩალებს მოვლენებს.

სოფელ შროშის კოლმეურნეობის ჩამორჩენა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევანი უმთავრესად იმით აიხსნება, რომ პარტიის ზესტაფონის რაიკომი (მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე), რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. ს. ფერაძე), სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რაიონული სამმართველო (უფროსი ამხ. ა. გიორგაძე) ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ ამ კოლმეურნეობას, არ სწავლობენ მის ეკონომიკას, არა აქვთ ცოცხალი კავშირი კოლმეურნეებთან, ანგარიშს არ უწევენ კოლმეურნეთა საქმიან წინადადებას, მათს სამართლიან სიგნალებს, არ ზრუნავენ კოლმეურნეობის კადრებით განმტკიცებისათვის. მაგალითად, ამ კოლმეურნეობას 5 თვის განმავლობაში არ ჰყავდა ანგარიშწარმოების მუშაკი, ახლაც აკლია აგრონომი, ანგარიშწარმოების ერთი მუშაკი და აგრონომიკოსი.

ახლა, როცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გადაუდებელ ამოცანად დასახულია ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა აყვანა მოწინავეთა დონეზე, შეუძლებელია შევურიგდეთ სოფლის მეურნეობის თავმინებებულ მდგომარეობას აღნიშნულ კოლმეურნეობაში.

შ. ჭოტაშვა,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

კოლმეურნეებმა გაიყვანეს გზა

ცაგერის რაიონის სოფელი ლაშიჭალა ცნობილია შესანიშნავი სამკურნალო წყლით. აქ ბევრი დამსვენებელი მოდის სამკურნალოდ. მაგრამ ცუდი გზები მეტად აძნელებდა დამსვენებელთა მოგზაურობას.

ამ დღეებში სოფლების ორბელის, ლაჯანის, უსახელოსა და ლაცორიის კოლმეურნეობათა წევრები მასობრივად გავიდნენ გზის მშენებლობაზე. მათ სამ დღეში თავდადებული შრომით ორბელიდან ლაშიჭალამდე გაიყვანეს კეთილმოწყობილი გზა, სადაც ახლა თავისუფლად მოძრაობს ავტომანქანები.

„კომუნიზმის სხივი“.

ქუთაისი

საავტომობილო ქარხანაში სამუშაოთა მექანიზაცია

განუხრელად ხორციელდება შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია. ძრავის საამქროში ახლახან დადგეს ოთხასმეტრიანი ჯაჭვური კონვეიერი, რომელიც დაამზადა თბილისის მექანიკურმა ქარხანამ. ამ მექანიზმმა, რომელსაც ძრავი გადაიქვს მცირე კონვეიერიდან საგამოცდო განყოფილებამდე, გაანთავისუფლა მრავალი მუშახელი, რომელთაც იყენებენ სხვა სამუშაოებზე.

246 ახალგაზრდა სპეციალისტი

სპეციალისტთა ახალი კადრები მოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. ამ დღეებში საწარმოს კოლექტივს მრავალი ახალგაზრდა ინჟინერი შეემატა. ჩამოსულთა შორის არიან კურსდამთავრებული ვ. კულიკოვა ივანოვოდან, ნ. ჩიტორელიძე, ი. ჭელიძე თბილისიდან და სხვები. ქარხანაში სახელოსნო სასწავლებლებიდან ახლახან ჩამოვიდა 246 ახალგაზრდა სპეციალისტი.

ახალი საცხოვრებელი სახლი

რამდენიმე დღეა საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სამსართულიანი შენობა, რომელიც არქიტექტურულად გაფორმებული ერთ-ერთი ლამაზი ნაგებობაა მეავტომობილეთა ქალაქში. სახლში ჩასახლდნენ ცნობილი სტახანოველები ა. აგაპოვი, ს. მაჭარაძე, რ. დვალიშვილი და სხვ. სულ 13 ოჯახი.

ბავშვთა საზაფხულო დასვენება

დიდი ყურადღება ექცევა მეავტომობილეთა ბავშვების საზაფხულო დასვენებას. ამ მიზნით გამოიყო 88 ათასი მანეთი. ამჟამად ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 160 ბავშვი ისვენებს სურამის პიონერთა ბანაკში.

პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ანგარიში რაიკომის ბიუროზე

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის რაიონული კომიტეტის ბიურომ მოისმინა სოფელ საყულიის კოლმეურნეობა „კომუნარის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ა. ლომიძის მოხსენება პარტბიუროს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ცუდად არის დაყენებული კოლმეურნეთა შორის საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობა, პარტიერო არ ამოწმებს მიღებული დადგენილების შესრულებას, სწორად არ ანაწილებს კომუნისტებს შორის პარტიულ დავალებებს, ყურადღებას არ აქცევს სოციალისტური შეჯიბრების გაშლას და სხვ.

რაიკომის ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიება პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გასუფთავებისებლად.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„პარგიული დავალება“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 2 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ტყიბულის რაიონის ზოგიერთ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული დავალებისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენენ.

პარტიის ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. ბ. ბაქრაძე გვატყობინებს, რომ რაიკომმა შეისწავლა პირველად პარტორგანიზაციებში პარტიული დავალების განაწილებისა და შესრულების მდგომარეობა. კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ტყიბულშახტმშენის ტრესტის პირველი სამშენებლო და ბინათმშენებლობის სამმართველოების, აგრეთვე ტყიბულქვანახშირის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის კანტორის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს ა. კაზიშვილს, ნ. შარაბიძეს, ს. ბოჭორიშვილს დაევალათ დაუყოვნებლივ გამოასწორონ პარტიულ დავალებათა განაწილებაში არსებული ნაკლოვანებანი და დაიწესონ სისტემატური კონტროლი დავალების შესრულებისადმი.

როგორ ისვენებენ ტყიბულელი მეშახტეები

ზაფხულის პაპანაქება დღეებია. შვებულებამიღებული მეშახტეები მასობრივად მიდიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე დასასვენებლად. საღამოობით მუშათა კლუბები, ბაღები სავსეა დამსვენებლებით. იმართება კონცერტები, ეწყობა ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებანი.

ცუდად როდი ისვენებენ ტყიბულელი მეშახტეები. მაგრამ არის ყველა შესაძლებლობა, რომ კიდევ უკეთესად დაისვენონ.

ბევრი ტყიბულელი მშრომელი ეტანებოდა წინათ სტადიონს. არა მარტო სპორტულ შეჯიბრებათა დღეებში, არამედ სხვა დროსაც. იმიტომ რომ სტადიონი გაშენებული იყო წაბლის ტყის გულში. გამოსასვლელ დღეებში აქ იმართებოდა კონცერტები, ცეკვა, მასობრივი სახალხო სეირნობა, იყო გამაგრილებელი წყლების კიოსკები, ერთი სიტყვით შექმნილი იყო დასვენების ყველა პირობა.

ამ ორი წლის წინათ ელექტროსადგურის ხელმძღვანელებმა სტადიონი მთელ სიგრძეზე გადათხარეს, ხოლო შემდეგ მისი აღდგენისათვის აღარ იზრუნეს. მიუხედავად ზემდგომი ორგანოების არაერთგზის მითითებისა, დღემდე ჭიანურდება სტადიონის წესრიგში მოყვანა.

საღამოობით ყოველთვის მრავალი მშრომელი მიდის მუშათა ცენტრალურ კლუბში. აქ უჩვენებენ კინოფილმებს, მუშაობს ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, იმართება შეჯიბრებანი ჭადრაკში, შაშში, მოქმედებენ დრამატული, ქორეოგრაფიული, ლიტერატურული და სხვა თვითმოქმედი წრეები.

მაგრამ თუ ზამთრობით კლუბის დარბაზი არ თბებოდა და მაყურებლებს სიცივე აწუხებდა, სამაგიეროდ ზაფხულში სულისშემხუთავი სიცხე დგას. შარშან ტყიბულქვანახშირის ტრესტი შეუდგა კლუბში ვენტილატორის მოწყობას, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიიყვანა და თავი მიანება.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მშენებლებს კარგად მოწყობილი კლუბის შენობა ჰქონდათ. წელს მარტში კლუბის შენობა ტრესტმა მიისაკუთრა იმ პირობით, რომ კლუბისათვის შესაფერი შენობას გამონახავდა. ჯერჯერობით დაპირება დაპირებად რჩება.

მუშათა კულტურული დასვენებისა და მეშახტეთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის შეუფასებლობის მკაფიო მაგალითი მოგვცა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს ადმინისტრაციამ. ამ სახელოსნოს კარგად მოწყობილი წითელი კუთხე ჰქონდა. ორი თვის წინათ ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს უფროსმა ვ. კაზიონმა წითელი კუთხე დახსნა და იქ ბუფეტი გახსნა, თუმცა ამის აუცილებლობა როდი იყო. იქვე, სახელოსნოს გვერდით, მშვენივრად მოწყობილი სასადილოა.

ეს სერიოზული ნაკლოვანებანი როდი იქნებოდა, რომ საშახტო პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მუდამ საკმაო მზრუნველობას იჩენდნენ მეშახტეთა კულტურული დასვენებისათვის.

ვ. ცირეკიძე,

„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

შაქრის ქარხანა სეზონისათვის ემზადება

ქარელი. (საკ. კორ.). წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები შაქრის ჭარხლის უხვ მოსავალს მოელიან. აგარის შაქრის ქარხნის კოლექტივმა ადრევე დაიწყო მზადება ჭარხლის ახალი მოსავლის გადამუშავებისათვის. ქარხანაში დამატებით დაიდგა ორი ახალი დიფუზორი, შაქრისგამთეთრებელი ნახევრად ავტომატური მანქანა, კირის ჩასაქრობი აპარატი, ჭარხლის საწონი ავტომატური სასწორი. ძალოვან საამქროში შეცვალეს ხუთი ტუმბო და ორი კვამლსაქაჩავი აგრეგატი.

შაქრის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საშრობ განყოფილებაში მთლიანად გადაკეთდა არსებული აპარატურა და დაიდგა ახალი მოწყობილობა.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ჭარხლის მიმღები პუნქტების მომზადება. აგარის პუნქტში მთლიანად მექანიზებულ იქნება სამუშაოები, რაც უზრუნველყოფს ქარხნისათვის ჭარხლის მექანიკურ მიწოდებას. აქ დაიდგა ჭილობის საქსოვი მანქანა, იგი შეცვლის 20 კაცის შრომას და დიდი რაოდენობით დაამზადებს ჭარხალზე დასაფარებელ ჭილობს. ხაშურის მიმღებ პუნქტში დამთავრდა ახალი კანტორის კაპიტალური შენობის აგება და კეთილმოწყობა.

ქარხნის კოლექტივი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში მომძმე საბჭოთა სომხეთის სპიტაკის შაქრის ქარხნის კოლექტივთან. ამას წინად „გლავსახარის“ კომისიამ ორივე საწარმოში შეამოწმა რემონტის მიმდინარეობა, ხარისხი და გამარჯვებულად ცნო აგარის შაქრის ქარხნის კოლექტივი. შეჯიბრება გრძელდება.

პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სემინარი

ბორი. (საკ. კორ.). საქართველოს პროფსაბჭომ პარტიის გორის საქალაქო კომიტეტთან ერთად მოაწყო ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა პროფორგანიზაციების ადგილკომთა თავმჯდომარეებისა და პროფჯგუფორგების ათდღიანი სემინარი.

სემინარზე წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამაა კომუნიზმის მშენებლობაში“, „პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაა“ და სხვ.

სემინარზე ლექციებს კითხულობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს და პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მუშაკები.

მათ შვილიშვილებთან

...ამ მშვენიერ ბუნებას აყვავების მაგივრად დაუჩაგრავს აქ მცხოვრები ხალხი... გლეხის სადგომი რაღაც ნაზარა წარმოადგენს: გლეხის მიწურებიდან მარტო დიდ ერდოებს ამოუყვიათ თავი და კარებზე ნეხვის გროვებს. მწვანე ბალახი, გაფოთლილი ხე არც ერთ მოსახლის კარზე არ მოიპოვება. კალო, საბძელი, ბოსელი, ბაკი და საქათმე სულ ერთმანეთშია არეული. ზოგ სახლს სამხრეთისკენა აქვს პირი, ზოგს ჩრდილოეთისკენ, ზოგს ალთას, ზოგს ბალთას. სასოფლო გზა მიხვეულ-მოხვეული და ოღროჩოღროა, რომ თუ ოთხი კაცი არ შემოეჭიდა ურემს, უხიფათოდ ვერ გადაურჩება...

სამოცდაათი წლის წინათ დაიხატა სოფლის ეს სურათი, მაგრამ იგი ძალაში რჩებოდა არც ისე დიდი ხნის წინანდელ დრომდე. სად გაქრა ეს საცოდავი სოფელი, მისი კვალიც რომ არ დარჩენილა?

ვინც „დედაენაზე“ აღზრდილა, რომელი კუთხიდანაც უნდა ჩავიდეს გორის თუ ქარელის სოფლებში, არ შეიძლება არ მოაგონდეს საყვარელი მწერლების დახატული სურათები — ხან მძიმე და დამალონებელი, ხან ელვასავით დრომოკლე სიხარულის გამონათებისა. გონების თვალი, როგორც მირაჟში, წარმოიდგენს შორეულ პერსონაჟებს: —აი მოხუცი ყაყიტა თოხის ტარზე დაყრდნობილი დგას სიმინდის ყანაში. შორიახლო რუ ჩამოსდუდუნებს... ყურში ჩაგესმით მისი ნაცნობი ხმა, თითქოს ნიავს მოებეროს შორეული წარსულიდან:“... მოგეხსენებათ, ნახევარი წლის სიმინდი მაქვს ჭალაზედ, ჩემი ნაღვაწ-ნადაგი, ჩემი ფეხით გადაბარული, სისხლი შიგ ჩამიწვიმებია“. აგერ, ქაჯანას მამა კიკოლა — რაღაც საცოდავი სამოიდე დღის მიწა რომ ჰქონდა და ერთი პატარა ვენახი... წელებზე ფეხს რომ იდგამდა, დღედაღამ განუწყვეტლივ მუშაობდა, მაგრამ წლის სარჩო რომ მაინც არ მოსდიოდა... აი კიდევ პატარა გოგუცუნა კონა, დედის მკერდს რომ ეკონება და გულამომჯდარი, ტირილით რომ ეთხოვება ხელზე მოსამსახურედ სხვის კარზე მიცემული, თითქოს წინასწარ გრძნობს მომავალ თავის წამებასო.

წყეული წარსულის შავი სურათები გაჰქრა. სახეზე ღიმილი გეფინება, ღიმილი კმაყოფილებისა, რომ ბურანიდან ნათელ სინამდვილეს გამოჰყავხარ, რომ გაბაშვილის, ლომოურის, მგალობლიშვილის დახატული პერსონაჟების ბედუკუღმართი, უსახარულო ცხოვრება დღეს ავი სიზმრის მოგონებაღაა.

პირველი, რამაც ყამთა სვლით ფერშეცვლილი წიგნების შთაბეჭდილებიდან გამომარკვია, კომბაინების გაბმული, მონოტონური გუგუნი იყო. ასინი ჰგავდნენ ნაპირს მოცურებულ გემს — მათ უკან თვალუწვდენელი, ნაპურალი დიდი ველი გადაშლილიყო.

— ეს უკანასკნელი ფრთა ამოაქვთ მამა-შვილს — ალექსანდრე და თარეშა ბერუაშვილებს, ხოლო ეგერ, ე, შორს ავთანდილ გეგელაშვილის ტრაქტორი ხნავს საშემოდგომო მიწას. — კომბაინების გუგუნში ძლივს ვგებულობ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვახტანგ ოსაძის სიტყვებს. — დღეს ვრჩებით მკას.

მამა-შვილი — კომბაინერები სოფელში!

მზედაკრული, მკლავღონიერი მამა — ბერუაშვილი სულ უფრო ახლოს და ახლოს მოაცურებს გზასთან ოქროსფერი მინდვრის ხომალდს, თითქოს ჩვენკენ მოეჩქარებაო. საჭიდან გადმოიხარა, უსიტყვოდ მოგვესალმა.

კომბაინის გუგუნში უცნობი კაცის ხმა მოისმა ზურგიდან, — გამარჯობა თქვენი.

— გაგიმარჯოს. გაიცანი, ისტორიის მასწავლებელია ჩვენს სკოლაში, აგიტატორი, — მომმართა მერე მე თავმჯდომარემ.

— ანდრო ტატაშვილი! — მაგრად ჩამომართვა ხელი ახალმოსულმა.

— ... ვერ გაიგე, კაცო, გვასწრებენ ხოლმე ამბის გაგებას, — ერთი მხრივ საყვედურით, მაგრამ მეორე მხრივ სიამაყის გრძნობით უთხრა ოსაძემ აგიტატორს. — წინ წავედით, სოციალისტური მინდვრის მუშაკაცს შენ დაალოდინებ — როდის ახალ ამბავს მიუტანო? ხშირად შენზე ადრე იგებს — აგერ საველე რადიო, აგერ კიდევ, ბრიგადირმა ან აღმრიცხველმა „ოიქროლა „ვილისით“ მტს-იდან — დაგასწრო მახარობლობა. იმ წინაზე როგორ იყო, სანამ შენ კალოზე გაზეთებით მოხვიდოდი, ბევრს უკვე სცოდნია მალენკოვის სიტყვა სესიაზე.

— სცოდნია რა, განა ძნელი დასასწავლ-დასახსომია სიკეთით სავსე სიტყვა? — ჩამოერია საუბარში კიდევ ერთი ახალმოსული კოლმეურნე ვასილ ქოთოლაშვილი და შუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა, ქუდი გაისწორა. — ზედ გულის ფაცარზედაც არ დაიწერ?

შემოუჯგუფდნენ ხელნელა თავმჯდომარეს თანასოფლელები. ყველა თავის აღფრთოვანებას გამოთქვამდა ამხანაგ მალენკოვის სიტყვისა და სესიის გადაწყვეტილებათა გამო.

დაკვირვებული ვარ, სადაც თავმჯდომარეა, იქ ხალხაც თავს იყრის — ერთი ერთ საქმეზე, მეორე — მეორეზე. ეს ბუნებრივიც არის — ძნელი სანახავია თავმჯდომარე — ამ წუთში რომ სოფლის თავშია, მეორე წუთში სოფლის ბოლოში გაჩნდება, ცოტა საქმე და საზრუნავი როდი აქვს. ახლა მით უფრო. მარტო ის როდია თავმჯდომარის ვაუკაცობა, რომ საერთო მოსავალი და შემოსავალი გაზარდოს. საქმე ის არის — თვითეული კოლმეურნის პირადი ცხოვრებაც გაუმჯობესოს, საერთო საკოლმეურნეო და კოლმეურნის პირადი ინტერესები ერთმანეთს შეუხამოს. ასე გვასწავლიან პარტია და მთავრობა. ორასორმოცდაათი კომლისათვის — ათასი სულისათვის ზრუნვა უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

მერე წელია ვახტანგ ოსაძე უძღვება კოლმეურნეობას. ბერლინიდან დემობილიზაციით დაბრუნებული, ომგადახდილი ვაჟკაცი — საბრძოლო ჯილდოებით მკერდშემკული ვახტანგ ოსაძე მშვიდობიან შრომას მოწყურებული კაცის მთელი ენერგიით შეუდგა საქმეს.

ამ შვიდი-რვა წლის განმავლობაში მართლაც ძნელი საცნობი შეიქნა კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“. შარშან ნახევარმილიონამდე მანეთი შემოსავალი მიიღო. ათასზე მეტი ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობი, ოთხი სახის ფერმა დგას კოლმეურნეთა სამსახურში. ახლა საკარმიდამო ბაღ-ვენახები! ამხანაგ მალენკოვის ისტორიულ სიტყვაში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებებში ხომ კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების ნათელი პერსპექტივა მოცემული.

თითქოს სათითოოდ მიეღოთ ძვირფასი საჩუქრები, ისეთი სიხარული სუფევს დღეს საკოლმეურნეო სოფელში. ქალი და კაცი, დიდი და პატარა უჩვეულო აღფრთოვანებას მოუცავს. ეს იგრძნობა ყოველ ნაბიჯზე, ყოველგვარ საქმიანობაში. მე ვნახე სკოლის ეზო. საკუთარი სახლის მოთავებას არა მგონია ისეთი სიხარული მიენიჭებინა ბავშვებისათვის (და არა მარტო ბავშვებისათვის!) როგორსაც მათ თავიანთი სკოლის რემონტი ანიჭებდა. სკოლას ახალთახალი კრამიტით ხურავდნენ. ჩამწკრივებულიყო გრძლად დიდი და პატარა — ერთიმეორეზე გადაცემით სწრაფად აწვდიდნენ ხელოსანს სახურავზე კრამიტს. ცუგრუმელა ბავშვებიც კი ერთ ამბავში, ერთ ფაციფუცში იყვნენ. გაბაშვილის „პატარა გოგუცუნა“ კონა. იქნებ აქ ახლოს სადმე დაცუნცულებდა შავი ბედის მსხვერპლი გოგონა. რა კონტრასტია!..

სოფლის ცენტრში დგას სკოლის შენობა. ხეხილის ბაღებს შორის მწვანეში წითლად ღაღაქებს კრამიტის სახურავი. ბავშვებმა ფერხული ჩააბეს. ბედნიერნი თითებზე ითვლიან სექტემბრამდე დარჩენილ დღეებს.

ამ სკოლის ახლოს ადმართულია ერთი მრავალთაგანი ორსართულიანი სახლი. სახლი დიდია, თუმცა მასში მცხოვრებთა რაცხვიც საკმაოა. ორი ძმისაა ეს სახლი — ლექსო და იასონ აბაიშვილებისა. იასონი მემინდვრე კოლმეურნეა, ლექსო — მწყემსი. შვიდი სულისაგან შედგება ლექსოს ოჯახი. გარდა იმისა, რომ ოჯახს კეთილსინდისიერი შრომით წვლილი შეაქვს კოლმეურნეობის საერთო კეთილდღეობაში, გულს ახარებს მისი პირადი ბაღ-ვენახი. რა და რა ხილი გინდა, ამ ბაღში რომ არ იყოს! ახლა სამინდი და ბაღჩეულ-ბოსტნეული! ლექსოს საუკეთესო ჯიშის მეწველი ძროხაც ჰყავს, სხვა წვრილფეხა რქიანი პირუტყვიც, მრავალი ფრთა ფრანველი. ლექსოს არც მისი ძმა იასონი ჩამორჩება შეძლებულობაში. განათლება და კულტურა დიდი ხანია დამკვიდრდა ძმების ოჯახში. ლექსოს უფროსი შვილი ცვლის ინჟინერია აგარის შაქრის ქარხანაში. ამაყობს გიორგი, რომ ქარხანაში მიღებულ დიდძალ ნედლეულში მის თანასოფლელ კოლმეურნეთა მოყვანილი ჭარხალიც არის. აბაიშვილების ოჯახიდან არა ერთი და ორი ბავშვი ეუფლება მეცნიერებას საფუძვლებს იქვე, გვერდით აღმართულ რვაწლიან სკოლაში.

ერთეული როდია აბაიშვილების ოჯახი. მშვენივრად ცხოვრობენ კოლმეურნეები ვასილ ქოთოლაშვილი და შალვა ოსაძე, ლაზარე ბერუაშვილი და სამსონ ჩომჩიური, მარიამ ოსაძე და გიორგი ჯიოშვილი, გაგო ოსაძე და სოლომონ კოკუაშვილი. ვინ მოსთვლის კიდევ მათ. ეს მთელი სოფელია. ცხადია, შეძლებული, კულტურული ცხოვრება საკოლმეურნეო შრომამ დაამკვიდრა. სწორედ იმ კომბაინებს, იმ ტრაქტორებს, ჩვენ რომ ვნახეთ, შაქვთ ხვავი და ბარაქა საკოლმეურნეო ბეღლებში, კოლმეურნეთა ოჯახებში. შარშან სამ კილოგრამამდე მარცვლეული, ერთი კილოგრამი ბოსტნეული და შვიდი მანეთი ფული დარიგდა შრომადღეზე. მეჭარხლე კოლმეურნეებს მარტო პრემიის სახით ორმოცდათხუთმეტი ათასი მანეთი დაურიგდათ.

წლევანდელი მოსავალი გაცილებით მეტი იქნება. წელს მარტო ჭარხლის მომყვანი კოლმეურნეები ასიათას ანეთს მიიღებენ. სამ კილოგრამზე მეტი პური განაწილდება, ასევე იმატებს შრომადღეზე განაწილებული სიმინდი და ბოსტნეული.

სახელმწიფოსათვის გეგმით გათვალისწინებული ორასზე მეტი ტონა ხორბლის ჩაბარების შემდეგ, რაც პირველ რიგში შესრულდა, როგორც პირველი მცნება, საკოლმეურნეო ბეღლებში და საწყობში დაბვავებულია მრავალ ასეული ტონა ოქროს მარცვალი — დოლის პური, და განაწილებას ელის.

ახდა ჩვენი წინაპრების ოცნება — განათლება შეჭრილიყო სოფელში, ესწავლათ სოფლის შვილებს. იმათ გარდა, ვინც სოფლის რვაწლიან სკოლაში სწავლობს, ვინ მოთვლის რამდენი ახალგაზრდა — ამ სოფლის მკვიდრი ეუფლება მეცნიერებას გორისა და თბილისის ინსტიტუტებში, უმაღლესი განათლების მქონე რამდენი მუშაკი იღვწის ახლა თავისსავე მშობლიურ სოფელში.

ხედავ ახალ სოფელს, ბაღ-ვენახებში ჩაფლულს, ოქროსფერი ნაპურალი ვრცელი ველებით და მოშრიალე სიმინდის ყანებით გარშემორტყმულს, უწინ გლეხისათვის მუდამ სანატრელი არხებითა და რუებით დასერილს, მუდამ მოუსვენარ, მოლივლივე მდინარე ფრონის პირას გაშლილ ახალ, საკოლ

უცხოეთის გამოხმაურება

საბჭოთა მთავრობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკების შედეგებზე

საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შედეგებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის 22 აგვისტოს სიტყვას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ბევრი ქვეყნის ფართო საზოგადოებრივი წრეები. პრესის ბევრი ორგანო მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად მიღებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ გადაწყვეტილებებს აფასებს, როგორც უაღრესად დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გერმანიის პრობლემის — ომისშემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება, გერმანელი ხალხისათვის დახმარების გაწევა — მტკიცედ დაადგეს მშვიდობიანი განვითარების გზას და განახორციელოს თავისი ეროვნული მისწრაფებანი.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოლაპარაკების შედეგებს გერმანელი ხალხი. გერმანიის ბევრი გაზეთი მთლიანად აქვეყნებს მოლაპარაკების ყველა მასალას და ათავსებს ამ დოკუმენტებზე საზოგადოებრიობის ფართო გამოხმაურებას.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ მოწინავე სტატიაში სათაურით „მშვიდობის, შრომისა და დემოკრატიის გერმანიისათვის“ აღნიშნავს საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების უდიდეს მნიშვნელობას გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობის საქმისათვის.

„გერმანიის ისტორიაში, — წერს გაზეთი, — ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ დელეგაცია საზღვარგარეთ მოლაპარაკების შემდეგ მთელი გერმანელი ხალხისათვის ესოდენ გრანდიოზული წარმატებებით დაბრუნებულიყოს, როგორიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ მოიპოვა. მეგობრობის, გულთადობისა და ურთერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარე მოლაპარაკების განმავლობაში მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება იმ გადამწყვეტ საკითხებზე, რომლებიც მთელ გერმანიას შეეხებიან. ეს არის ჩვენი ხალხისათვის ისეთი სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება და ჩვენი სამშობლოს ეროვნული ერთიანობის აღდგენა“.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის კომუნიკეს და ოქმის ცალკეული პუნქტების დეტალური ანალიზის შემდეგ „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს: „ყველა ეს სულგრძელი გადაწყვეტილებანი საბჭოთა მთავრობამ მიიღო იმ მიზნით, რომ დახმარება გაგვიწიოს ჩვენი ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში“.

შემდეგ გაზეთი წერს: „ჰიტლერული ომის დამთავრების რვა წლის შემდეგ გერმანიას დღემდე არა აქვს საზავო ხელშეკრულება. ამისათვის მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება ადენაუერს, რადგან მას მშვიდობისა და შეთანხმების ეშინია უფრო მეტად, ვიდრე ეშმაკს საკმევლისა. მან იცის, რომ მშვიდობა და შეთანხმება მოასწავებს მისი ომის პოლიტიკისა და მისი ანტიეროვნული რეჟიმის დასასრულს“.

მოყავს რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის სიტყვის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ „საკითხი ახლა ასე დგას: გერმანია შეიძლება გახდეს ან ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ან ახალი აგრესიის მთავარი ევროპული კერა“, გაზეთი წერს: „ახლა, როცა გერმანელი ხალხი ნათლად ხედავს ორი გზის პერსპექტივას, საჭიროა ყველაფერი გავაკეთოთ შეთანხმებისა და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გასაჩაღებლად. ეს არის ბრძოლა მშვიდობისა და ერთიანობის მოსაპოვებლად არა მარტო ჩვენი საკუთარი ინტერესებისათვის, არამედ აგრეთვე ევროპის ყველა ხალხის ინტერესებისათვის და ამიტომ იგი ამ ხალხების მხარდაჭერას პოვებს“.

გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების ორგანო გაზეთი „ტრიბუნე“ საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოლაპარაკების დოკუმენტებს ახასიათებს როგორც „საბჭოთა მთავრობის მეგობრობის უმაგალითო დამამტკიცებელ საბუთს“. გაზეთი „ფორვერტსი“ ამ დოკუმენტებს ბეჭდავს სათაურით: „მოსკოვში გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების თვალსაჩინო შედეგები“.

გერმანელი მოსახლეობის ყველა ფენაში ფართო გამოხმაურება გამოიწვია საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებამ — შეამსუბუქოს გერმანიის ის ფინანსურ-ეკონომიური ვალდებულებანი, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან.

დასავლეთ ბერლინის გაზეთმა „მონტაგ-მორგენმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1954 წლის 1 იანვრიდან საბჭოთა კავშირი, აგრეთვე პოლონეთი უარს ამბობენ რეპარაციები გადაახდევინონ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, აგრეთვე ცნობა საბჭოთა საქციო საზოგადოებების იმ საწარმოთა გადაცემის შესახებ, რომელთა ღირებულება 2,7 მილიარდ მარკას შეადგენს, და საოკუპაციო ხარჯების შემცირების შესახებ. ბოლოს, გაზეთი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას დამატებით მიაწვდის 590 მილიონი მანეთის საქონელს და მისცემს 485 მილიონ მანეთ კრედიტს.

პოლონეთის მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი გერმანიის საკითხზე „არსებითად დაეხმარება გერმანელ ხალხს არა მარტო განამტკიცოს თავისი ეკონომიკა, არამედ შექმნას აგრეთვე საჭირო პირობები ერთიანობის აღდგენისა და გერმანიის გაერთიანებული და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის, რითაც პოლონელი ხალხი სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული“.

პრესაში განსაკუთრებით ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მილიტარიზმის, აგრესიისა და ომის გზა, როგორც ისტორია ცხადყოფს, გერმანიისათვის ეროვნულ კატასტროფას მოასწავებს. ასეთ გზაზე ამჟამად აყენებს მას ადენაუერის მილიტარისტული და რევანშისტული ჯგუფი.

ამასთან დაკავშირებით პოლონური გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს, რომ „ანგლო-საქსი იმპერიალისტები ადენაუერზე დაყრდნობით სულ უფრო იბეწსნიერად აქცევენ დასავლეთ გერმანიას მილიტარიზმის, რევიზიონიზმისა და რევანშიზმის კერად, ანტიპოლონური და ანტისაბჭოთა ცილისწამების კერად, ახალი ომის კერად.

ამ მიზნებისათვის ისინი ინარჩუნებენ და აღრმავებენ გერმანიის გათიშვას“.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ გერმანიის საკითხში ხალხთა მხურვალე მოწონება ჰპოვა. ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“ მოწინავე სტატიაში სათაურით „საბჭოთა კავშირი მთელი გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობარია“, წერს: „შედეგები მოსკოვის მოლაპარაკებისა, რაც გულითადი ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, ისტორიული მოვლენაა. ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას უწევს რა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, — წერს „რუდე პრავო“, — საბჭოთა კავშირი განამტკიცებს მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალების დასაყრდენს“.

ბულგარეთის გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ მოწინავე სტატიაში სათაურით „ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის“, კერძოდ, წერს:

„გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკუთვნის ისტორიული როლი გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენასა და დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შექმნაში. მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები კიდევ უფრო განამტკიცებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ხელს შეუწყობს მისი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და დააჩქარებს მას გერმანიის ერთიანობის კიდევ უფრო მედგარ გუშაგად“.

ხალხებს, რომლებიც გერმანიის მილიტარიზმის მსხვერპლი იყვნენ, ჰოსკოვის მოლაპარაკების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებანი მშვიდობისა და უშიშროების გარანტიად მიაჩნიათ.

„ჩვენმა ხალხმა, — აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“, — მშვენივრად იცის, რომ საბჭოთა მთავრობის გულწრფელ და სამართლიან ღონისძიებათა გამარჯვებამ, რომელთა მიზანია რაც შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, უზრუნველყო ჩვენი რესპუბლიკის საზღვრების ხელშეუხებლობა მომავალშიც. ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ უზრუნველყოფილ იქნას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის უშიშროება და ჩვენი ღასავლეთი საზღვრების უშიშროება. ამიტომ მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები სავსებით შეესაბამება ჩვენი ხალხის მისწრაფებას“.

„მშვიდობის ძლევამოსილი გზა“ — ასეთი სათაური გაუკეთა უნგრულმა გაზეთმა „საბად ნეპმა“ თავის მოწინავე სტატიას, რომელიც მიეძღვნა მოლაპარაკების შედეგებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ „მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმება, საბჭოთა კავშირის სულგრძელი დახმარება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი — ყოველივე ამის მიზანი ის არის, რომ გერმანია დაადგეს მშვიდობისა და დემოკრატიის და ეროვნული ერთიანობის გზას“.

გაზეთი „ლუმანიტე“ იხსენებს დასავლეთგერმანელი რევანშისტების ხრიკებს ადენაუერის მეთაურობით და წერს: „ამ პირობებში საბჭოთა მთავრობა ისე იქცევა, როგორც უნდა მოქცეულიყო საფრანგეთის მთავრობა, იგი რომ ოდნავ მაინც ზრუნავდეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის...

ატლანტიკის ბლოკისადმი ჩვენი ქვეყნის დაქვემდებარება, ვერმახტის შეიარაღება და გერმანიის გათიშვის შენარჩუნება ...აძლიერებს იმის საშიშროებას, რომ შეიძლება გაიმარჯვოს მალენკოვის მიერ დასახული ალტერნატივის მეორე პუნქტმა. ბონისა და პარიზის ხელშეკრულებებს ის მოჰყვება, რომ ფრანგებს ჩაითრევენ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, რომელზეც ოცნებობს ადენაუერი. პირიქით, სსრ კავშირის წინადადებათა მიღებით შეიძლება დაიწყოს მშვიდობის ახალი ერა“.

ჩინეთის გაზეთი „გუნქენჟიბაო“ სარედაქციო სტატიაში „გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ხელშეწყობი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი“ აღნიშნავს, რომ მოსკოვის მოლაპარაკებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობისა და საბჭოთა ხალხსა და გერმანელ ხალხს შორის მეგობრობის შემდგომი განვითარებისათვის.

„გერმანიის საკითხის გადაჭრა და გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების საფრთხის ლიკვიდაცია, — წერს გაზეთი, — გერმანიისა და ევროპის ყველა ქვეყნის ხალხების მისწრაფებაა. მშვიდობისმოყვარე ხალხები, აერთიანებენ რა გერმანიის პრობლემასა და ევროპის და საერთაშორისო უშიშროებას, წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ახალი ომი, ისინი მოითხოვენ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და შეიქმნას ერთიანი დამოუკიდებელი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანია“.

ბურჟუაზიული პრესა, კერძოდ დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეების პრესა ცდილობს დაუმალოს ფართო საზოგადოებრიობას მოლაპარაკების შედეგები. იგი ისწრაფვის დაამახინჯოს მათი ნამდვილი აზრი, დაამციროს მათი უდიდესი მნიშვნელობა მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის საკითხის გადაწყვეტისა და ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის. ამაოდ ცდილობს რა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი, ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების რეაქციული პრესა ისწრაფვის საქმე ისე დასახოს თითქოს მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს ჭქონდეთ მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნები და კერძოდ ის მიზანი, რომ გავლენა მოახდინონ დასავლეთ გერმანიაში არჩევნების შედეგზე.

მაგრამ ბურჟუაზიული პრესა ვერ დაფარავს დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციების სისუსტეს გერმანიის საკითხში.

გ. მ. მალენკოვის 22 აგვისტოს სიტყვისადმი მიძღვნილ თავის კომენტარებში ნიუ-იორკის გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ სარედაქციო სტატიაში წერს: „საეჭვოა, რომ უკეთ შეიძლებოდა ეჩვენებინათ“ მნიშვნელობა გერმანიისათვის ბრძოლისა, ვიდრე „ეს გაკეთა მალენკოვმა... ჩვენი საკუთარი გაუბედავი — ანუ, შესაძლოა, უკეთესია ვთქვათ მერყეევი პოლიტიკის საზომს წარმოადგენს აშკარა ხარვეზი, რომელიც იპოვა მალენკოვმა, რათა გაელაშქრნა ამ პოლიტიკის წინააღმდეგ“.

აღნიშნა რა, რომ საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა უსასყიდლოდ გადასცეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას საკუთრებად 33 საწარმო, აგრეთვე შეწყვიტოს გერმანიის სარეპარაციო გადასახდელთა გადახდევინება, გაზეთი თავს არიდებს ამ გადაწყვეტილებათა შეფასებას, რომელთა მიზანია მომავალში ხელი შეუწყოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას და მისი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეს.

იმეორებს რა იმპერიალისტური პროპაგანდის ჩვეულებრივ ცილისწამებას საბჭოთა კავშირის „აგრესიულობის“ შესახებ, გაზეთს ამავე დროს არ შეუძლია არ აღიაროს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის მიზანია გერმანიის გათიშვის გაღრმავება. გაზეთი აცხადებს:

„კრემლი ოსტატურად იქცევა, ლაღვარს სცემს რა ჩვენი გერმანული პოლიტიკის ერთ მეტად სუსტ ადგილს. ცხადია, რომ ჩვენი პოლიტიკა ეყრდნობა დანაწილებული გერმანიის შენარჩუნების იდეას. ყველაფერი, რაც ჩვენ გავაკეთეთ ან რის გაკეთებასაც ვაპირებთ, ამ წინაპირობას ეყრდნობა. ოფიციალურ განცხადებებში ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ გერმანია ერთ მშვენიერ დღეს გაერთიანდება, მაგრამ მოქმედებით ვეწინააღმდეგებით ამას, და თვითონ გერმანელებმა იციან ეს. რუსებს არ შეეძლოთ წამოეყენებინათ ჩვენს წინააღმდეგ არავითარი სხვა არგუმენტი, რომელიც ესოდენ მრავალმნიშვნელოვანი იქნებოდა თვითონ გერმანელებისათვის“.

ბურჟუაზიული პრესა იძულებულია აღიაროს, რომ მოსკოვში მიღწეულ შეთანხმებას იწონებენ გერმანელი ხალხის ფართო ფენები და სხვა ქვეყნების მოწინავე საზოგადოებრიობა. ისინი იძულებულნი არიან აღიაროონ, რომ ეს შეთანხმებანი ხელს უწყობენ გერმანიის საკითხის გადაწყვეტას.

აფასებს რა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მოლაპარაკების შედეგების მნიშვნელობას, დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ 24 აგვისტოს ნომერში შემდეგ დასკვნას აკეთებს: „მოვა დრო, როცა დაიწყება მოლაპარაკება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.“ გაზეთი „ვესტ დოიჩე ნოიე პრესე“ უერთდება ამ მოთხოვნას. ვინც უარყოფს ამ მოლაპარაკების აუცილებელ საჭიროებას, — წერს გაზეთი, — „მასზე, შეიძლება, არც თუ უსაფუძვლოდ მივიტანოთ ეჭვი, რომ მისთვის ამისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება თვითმიზანი გახდა“.

საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების დროს მოსკოვში მიღწეულმა შეთანხმებამ, როგორც რეიტერის საააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, აბნეულობა გამოიწვია ამერიკის მმართველ წრეებში. ისინი თავს არიდებენ იმას, რომ თავიანთი თვალსაზრისი გამოთქვან იმ გადაწყვეტილებათა არსის თაობაზე, რომლებიც ამსუბუქებენ გერმანიის საფინანსო-ეკონომიურ ვალდებულებებს.

„ამერიკელი ოფიციალური პირების აზრით, — წერს კორესპონდენტი, — შეთანხმება და ის დრო, რომელსაც იგი შეუფარდეს, ნაწილია ახალი კამპანიისა, რომლის მიზანია გავლენა მოახდინოს არჩევნებზე დასავლეთ გერმანიაში“.

ინგლისის პრესა ფართოდ აშუქებს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მოლაპარაკების შედეგებს. ბურჟუაზიული გაზეთები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილებანი არის მხოლოდ მანევრი, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ ადენაუერს დასავლეთ გერმანიაში მომავალი არჩევნების დროს. მაგრამ ასეთი თვალსაზრისის ხელოვნურობას თვითონ გაზეთებიდე აბათილებენ.

მაგალითად, „ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველი, გაბორროტებით უკეთებს რა კომენტარს მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს, აძულებულია განაცხადოს: „უგუნურება იქნებოდა იმის უარყოფა, რომ აღმოსავლეთი გერმანია დიდ სარგებლობას მიიღებს ამ შეთანხმებით“.

„ნიუ-კრონიკლის“ დიპლომატიური მიმომხილველი ბარტლეტი იმავე კოლონი წერს, როგორც „ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველი. ბარტლეტიც აღიარებს, რომ მოსკოვში ხელმოწერილი ოქმით გათვალისწინებული ეკონომიური და საფინანსო ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ ათავსებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის დაუნტონის ცნობას. დაუნტონი წერს: „დასავლეთის დიპლომატები მოსკოვში... აღნიშნავენ, რომ ნაკლებად არ უნდა შეფასდეს შთაბეჭდილება, რომელსაც ეს ნაბიჯი მოახდენს დასავლეთ გერმანიის ფართო მასებზე“.

ბურჟუაზიული პრესის ზოგიერთი ორგანო ცდილობს ნახოს იმ ჩიხიდან გამოსავალი, რომელშიც დასავლეთის სახელმწიფოები მიჰყავს ატლანტიკის პოლიტიკას. „იორკშირ პოსტის“ პოლიტიკური მიმომხილველი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის კომუნიკეს გულდასმით სწავლობდნენ დასავლეთის დედაქალაქებში და წერს: „დასავლეთის სახელმწიფოთა ახალი წინადადებანი, რომელთა მიზანია პასუხი გასცენ ამასწინანდელ საბჭოთა ნოტებზე, შესწავლილ უნდა იქნას ხელახლა კვირის დამლევს მომხდარი ამბების საფუძველზე“. (საკდესი).

ოტო გროტეოლის მოხსენება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომაზე

ბერლინი, 25 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა მოხსენება გააკეთა სახალხო პალატის სხდომაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკებაში გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებამ — თავისი ურთიერთობა გერმანიასთან ააგოს სრული თანასწორუფლებიანობისა და გერმანელი ხალხის უფლებათა და ეროვნული ღირსების პატივისცემის საფუძველზე. ეს მოლაპარაკება, თქვა გროტეოლმა, მიმდინარეობდა ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, მშვიდობისმოყვარე ხალხთა რიგებში თვითეული ხალხის თანასწორუფლებიანობისა და თვითეული ხალხის იმ უფლებისათვის ბრძოლის პრინციპის სულისკვეთებით, რომ დამოუკიდებლად, უცხოეთის ჩაურევლად გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები მშვიდობისა და დემოკრატიის სულისკვეთებით.

შემდეგ გროტეოლმა დაწვრილებით მოახსენა სხდომას მოსკოვის მოლაპარაკების კონკრეტული შინაარსი.

მან აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ მოლაპარაკების მსვლელობაში ჩამოაყალიბა გერმანიის პოზიცია იმ წინადადებათა შესახებ, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის 15 აგვისტოს ნოტა საზავო კონფერენციის მოწვევის, სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნის, გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის შესახებ.

გროტეოლმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა არანორმალური მდგომარეობა, როცა გერმანია ომის დამთავრებიდან უკვე რვა წლის შემდეგ გათიშული რჩება ორ ნაწილად და არა აქვს საზავო ხელშეკრულება. მთავრობის დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანელ ხალხს უფლება აქვს შეიქმნას გერმანიის ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი სახელმწიფო და დიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან.

ეს, განაგრძო გროტეოლმა, თვითეული ერის, მათ შორის გერმანელი ერის უდავო ბუნებრივი პოლიტიკური უფლებაა. ამიტომ ჩვენ აგრეთვე არ შეგვიძლია უარი ვთქვათ ამ უფლებაზე. არავის არა აქვს ასეთი უარის უფლება; ბ-ნ ადენაუერს აგრეთვე არა აქვს ამის უფლება... მშვიდობისმოყვარე გერმანელი ხალხი მიესალმება საბჭოთა ნოტას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი შეიცავს წინადადებებს კონკრეტულ და სწრაფად შესასრულებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომელთა მიზანია გერმანიის საკითხის მოწესრიგება. ეს შეესაბამება აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მთავრობის გადაუდებელ პოლიტიკურ მოთხოვნას. მათ ამ ბოლო დროს არა ერთხელ მოუთხოვიათ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ გერმანიაში ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ნიშნავენ გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოებას.

ოტო გროტეოლმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანელმა ხალხმა გაკვეთილი უნდა გამოიტანოს თავისი ისტორიიდან, თავისი სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად წინააღმდეგობა გაუწიოს ბონისა და პარიზის სამარცხვინო სამხედრო ხელშეკრულებათა განხორციელებას და ნება არ მისცეს დასავლეთ გერმანიის მილიტარისტულ და რევანშისტულ ძალებს გაიაღონ ახალი გამანადგურებელი ომი მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ, ომი, რომელიც გერმანელ ხალხს მიიყვანდა კიდევ უფრო საშინელ ეროვნულ კატასტროფამდე. გერმანელმა ხალხმა ჩვენი ქვეყნის დასავლეთში, განაცხადა გროტეოლმა, უნდა შეიგნოს იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების დიდი მნიშვნელობა, რომელიც მან უნდა გამოიტანოს 6 სექტემბრის არჩევნებში. მას შესაძლებლობა ექნება მშვიდობიანი გზით, საარჩევნო ბიულეტენების საშუალებით დაამხოს ადენაუერი და გაათავისუფლოს გზა გერმანიის მშვიდობიანი, დემოკრატიული გაერთიანებისათვის. ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა მშვიდობის გზა გერმანიისა და ევროპისათვის. გერმანელი ხალხის ბედი, მისი ეროვნული მომავალი, მთელი მისი სიცოცხლე დამოკიდებულია გერმანიის საკითხის რაც შეიძლება მალე მშვიდობიან გადაჭრაზე, გერმანიის მშვიდობიანი და დემოკრატიული გაერთიანების — მისი მთავარი მოთხოვნის შესრულებასა და საზავო ხელშეკრულებაზე.

ილაპარაკა რა რემილიტარიზაციისა და საომარი მზადების გზის დამლუპველობაზე, რასაც დასავლეთ გერმანიაში ახორციელებენ, გროტეოლმა ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობიანი განვითარების გზაზე გერმანელი ხალხი შეძლებს მთლიანად განავითაროს მთელი თავისი შემოქმედებითი ძალები და რომ გერმანიას, როგორც დიდ სახელმწიფოს, მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ექნება მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ყველა ქვეყანასთან.

თავის მოხსენებაში გროტეოლმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ფართო დახმარებას უწევს გერმანელ ხალხს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რადგან ეს საჭიროა ევროპაში მშვიდობის საქმის დაცვის ინტერესებისათვის, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებისათვის. გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის უანგარო და ნამდვილი მეგობრობის შედეგად, ხაზგასმით აღნიშნა გროტეოლმა, იქნება საფუძველი ახალი ეპოქისათვის გერმანელი ხალხის ისტორიაში.

ოტო გროტეოლმა გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის კომუნიკე საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე ოქმი გერმანიის რეპარაციების გადახდევინების შეწყვეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ ფინანსურ-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქების სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან. შემდეგ გროტეოლმა დაწვრილებით ანალიზი გაუკეთა ამ დოკუმენტებში მოყვანილი საკითხების სამ ძირითად ჯგუფს. მან გამოჰყო ჯერ-ერთი, საკითხები, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის განვითარებას, მეორე, აქტუალური საკითხები, რომლებიც შეეხება მთლიანად გერმანიის პრობლემას, და, ბოლოს, ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც განხილულ იქნა მოლაპარაკების დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის სურვილით.

ილაპარაკა რა, რომ საჭიროა მოეწყოს საზავო კონფერენცია გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით და შეიქმნას სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის უშუალო შეთანხმების გზით, ოტო გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სრულიად გერმანიის არჩევნების შედეგად გერმანელმა ხალხმა თვითონ, უცხო სახელმწიფოთა ჩაურევლად, უნდა გადაწყვიტოს ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხი, და ამიტომ ლაპარაკი „საბჭოთა კავშირის მიერ განზრახული პოლიტიკური აგრესიისა და ბოლშევიზაციის“ შესახებ შეიძლება მხოლოდ შეგნებული ცილისწამება იყოს. როგორი იქნება გერმანია მომავალში, თქვა გროტეოლმა, ამას გერმანელი ხალხი სრულიად დამოუკიდებლად, სხვისი გავლენის მოუხდენლად გადაწყვეტს. ეს არის ჩვენი მოლაპარაკების დიდმნიშვნელოვანი შედეგი. ეს ნათლად უნდა გაიგონ განსაკუთრებით ჩვენმა თანამემამულეებმა დასავლეთში, რომლებიც ყოველდღიურად იმყოფებიან ფაშისტური და მილიტარისტული პროპაგანდის გავლენის ქვეშ.

გადავიდა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობის შემსუბუქების ღონისძიებათა არსის განმარტებაზე, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა ეს ღონისძიება შესაძლებელი გახდა ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის საქმეში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებათა მეოხებით და იმ ნდობის მეოხებით, რომელიც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოიხვეჭა ამ ღონისძიებათა შედეგად.

შემდეგ ოტო გროტეოლმა მოიყვანა დაწვრილებითი ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა უდიდეს დახმარებას იღებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა რეპარაციების გადახდისაგან განთავისუფლების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებაში გერმანიის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საწარმოების უსასყიდლოდ გადაცემის შედეგად, იმ ხარჯების შემცირების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა ჯარების ყოფნასთან, 1945 წლიდან შექმნილი საგარეო საოკუპაციო ხარჯების დაკალიანების გადახდისაგან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განთავისუფლებისა და საბჭოთა კავშირისათვის ომისშემდგომი სახელმწიფო ვალების გადახდევინებისაგან გერმანიის განთავისუფლების შედეგად. ამასთან ერთად გროტეოლმა დამაჯერებელი ფაქტიური მონაცემებით ცხადყო, თუ რა აუტანელი ფინანსურ-ეკონომიური ტვირთი უნდა ზიდოს დასავლეთმა გერმანიამ შეერთებულ შტატებთან ბონის ადენაუერის მთავრობის „თანამშრომლობის“ შედეგად.

ოტო გროტეოლმა შემდეგ წაიკითხა პოლონეთის მთავრობის გადაწყვეტილება 1954 წლის 1 იანვრიდან გერმანიის შემდგომ რეპარაციებზე უარის თქმის შესახებ და მხურვალე მადლობა გადაუხადა პოლონეთის მთავრობასა და ხალხს ამ გადაწყვეტილებისათვის.

თავის მოხსენებაში პრემიერ-მინისტრმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ დახმარებაზე, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იღებს საბჭოთა კავშირისაგან, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაწყებული ახალი კურსის განხორციელების საქმეში. ამასთან ერთად მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დახმარება ავალებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს კიდევ უფრო მეტი ძალით იბრძოლონ თავიანთი სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, აქტიურად დაუჭირონ მხარი თავის მთავრობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი კურსის

პოლონეთში ემზადებიან პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისათვის

ვარშავა, 25 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარ გამგეობაში გაიმართა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის მომწყობი ცენტრალური კომისიის სხდომა.

სხდომაზე დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებს ერთთვიურის ჩატარებას 8 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე.

ერთთვიურის მანძილზე სამრეწველო საწარმოებში, სახელმწიფო სასოფლო-მეურნეობებში, სამიწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივებში, სოფლებსა და სკოლებში გაიმართება მოხსენებები, საუბრები და საღამოები, რომლებიც მიეძღვნება საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობას.

გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე საბჭოთა წიგნისა და პერიოდული გამოცემების ერთკვირეულის მოწყობას, იმ მოწინავე მუშებისა და გლეხების სავოვეოდო კონფერენციების მოწვევას, რომლებიც თავიანთ მუშაობაში იყენებენ საბჭოთა ნოვატორების შრომის მეთოდებს, ახალგაზრდული ესტაფეტის მოწყობას და სხვა ღონისძიებებს.

უნგრეთი-არგენტინის სავაჭრო შეთანხმება

ბუენოს-აირესი, 25 აგვისტო. (საკდესი). გუშინ არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელმოწერილ იქნა სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმება არგენტინასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სამი წლის ვადით.

შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ პირველი წლის განმავლობაში საქონლის ურთიერთმოწოდება შეადგენს დაახლოებით 30 მილიონ დოლარს ორივე მხარისათვის. უნგრეთი მიაწვდის რკინიგზის მასალებსა და ელექტროძრავებს, აგრეთვე კავშირგაბმულობის აპარატურას, ელექტრომოწყობილობას, მანქანებსა და მათს სათადარიგო ნაწილებს, ტრაქტორებს, მინას და სხვა საქონელს. არგენტინა ძირითადად მიაწვდის სელის ზეთს, კვებრახოს ექსტრაქტს, ტყავეულს, მატყლსა და ბამბას.

საფრანგეთის დემოკრატიული ძალების გამარჯვება

ლე ლეპაპის, სტილის, მოლინოს, დიუკლოლონეს და ლოკანის განთავისუფლება

პარიზი, 25 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის დემოკრატებმა და პატრიოტებმა, რომელნიც კონსტიტუციურ თავისუფლებათა დასაცავად იბრძოდნენ, ახალი გამარჯვება მოიპოვეს: დღეს პარიზის სასამართლოს საგამომძიებლო პალატის გადაწყვეტილებით განთავისუფლებული არიან შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ალენ ლე ლეპპი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლუსიენ მოლინო, გაზეთ „ლუმანიტეს“ პასუხისმგებელი რედაქტორი ანდრე სტილი, საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირის მდივანი გი დიუკლონე და საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირის ეროვნული ბიუროს წევრი პოლ ლორანი, რომელნიც დიდ ხანს იყვნენ დაპატიმრებული.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, პარიზის სასამართლოს საგამომძიებლო პალატის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ფრანგი პატრიოტები დროებით გათავისუფლეს.

უკანასკნელ დღეებში ამ პატრიოტთა განთავისუფლებისათვის, რომელთაც წაუყენეს ბრალდება, რომ „მათ ხელყვეს სახელმწიფოს საგარეო უშიშროება“, ყველა ფრანგ დემოკრატთან ერთად იბრძოდნენ გაფიცული მშრომელები.

ამ დღეებში საგამომძიებლო პალატის სახელზე მიღებულია გაფიცული რკინიგზელების, ფოსტის მუშაკების, მეშახტეების, მელითონეების მრავალი მოთხოვნა.

პარიზის დემოკრატიულ წრეებში ხუთი პროგრესული მოღვაწის განთავისუფლება მიაჩნიათ საფრანგეთის რეაქციის იმ გეგმების ჩაფუშვად, რომელთა მიზანია კომუნისტური პარტიისა და ფრანგი ხალხის კონსტიტუციურ თავისუფლებათა დაცვისა და საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი სხვა ორგანიზაციების დთრგუნვა.

პარიზის მშრომელებმა საპყრობილიდან განთავისუფლებულ დემოკრატ მოღვაწეებს აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს.

ინგლისის საზოგადოებრიობა მოითხოვს საგარეო ვაჭრობის შეზღუდვათა გაუქმებას

ლონდონი, 25 აგვისტო. (საკდესი). პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა ჰექტორ ჰიუზმა თავისი 19 აგვისტოს წერილის შემდეგ, რომელიც ვაჭრობის მინისტრს გაუგზავნა და რომელშიც იგი მოუწოდებდა გაეუქმებინა საბჭოთა კავშირისათვის ტრაულერების მიყიდვის შეზღუდვები, საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს მექსონს მიმართა წერილით, რომელიც უფრო მტკიცე გამოთქმებით არის შედგენილი. როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, ჰიუზი ეხება რა ხსენებულ შეზღუდვებს, წერს: „იმ წინადადებებზე უარის თქმა, რომლებიც უცხოეთის ბაზრებს უზრუნველყოფს ინგლისის მრეწველობის პროდუქციის გასაღებისათვის, იმას ნიშნავს, რომ ეს ბაზრები დავუთმოთ სხვა კონტინენტურ ქვეყნებს, რომლებიც ახლა ენერგიულად იბრძვიან ამ ბაზრებისათვის“. ჰიუზი აცხადებს, რომ ეს „ხელს შეუშლის ინგლისის ვაჭრობის გაფართოებას და ზარალს მოუტანს ინგლისის პრეწველობასა და მუშებს როგორც უახლოეს დროში, ისე მომავალშიც. ჩვენი მიზანი უნდა იყოს გაბედულად გავაფართოოთ ინგლისის საგარეო ვაჭრობა, როგორც ისტორიული შიისაგან თავისუფალი საყოველთაო მშვიდობის საფუძველი“.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება კორეის საკითხზე პოლიტიკური კონფერენციის შესახებ

პეკინი, 26 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ფხენიანიდან გადმოგვცემს:

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პოლიტიკური კონფერენციის საკითხზე დღეს შემდეგი განცხადება გააკეთა:

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყურადღებით ადევნებს თვალყურს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე პოლიტიკური კონფერენციის საკითხის განხილვას და დამავალ შემდეგი განვაცხადო პოლიტიკური კონფერენციის საკითხზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ-ლაის 1953 წლის 24 აგვისტოს განცხადებასთან დაკავშირებით.

დაზავება კორეაში უნდა გახდეს პირველი ნაბიჯი კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და კორეის მშვიდობიანი გაერთიანების გზაზე, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო მდგომარეობაში დაძაბულობის შენელებას.

ასეთია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მტკიცე რწმენა. პოლიტიკურმა კონფერენციამ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ მიზნების მიღწევისათვის ხელშეწყობაში და ამით მოგვცეს საერთაშორისო დაძაბულობის მოლაპარაკების გზით მშვიდობიანი მოწესრიგების მაგალითი. ამიტომ ამ პოლიტიკური კონფერენციისათვის მზაზშეწონილია არჩეულ იქნას მრგვალი მაგიდის კონფერენციის ფორმა კორეაში დაზავების ხელმომწერი ორივე მხარის და სხვა დაინტერესებული ქვეყნების მონაწილეობით ერთობლივი განხილვისათვის. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ კონფერენციის ყოველი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას კორეაში დაზავების ხელმომწერი ორივე მხარის ერთსულოვანი თანხმობით.

რაც შეეხება პოლიტიკური კონფერენციის საქმიანობის ფარგლებს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ, კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების მე-60 პარაგრაფის შესაბამისად, კონფერენციამ უწინარეს ყოვლისა უნდა განიხილოს საკითხი კორეიდან უცხოეთის ყველა ჯარის, მათ შორის გაერთიანებული ერების ჯარებისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების გაყვანის შესახებ, და საკითხი კორეის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, ხოლო ამის შემდეგ განიხილოს სხვა საკითხები.

რაც შეეხება პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ წინადადება პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის შესახებ, რომელიც 1953 წლის 18 აგვისტოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ბ-ნმა ანდრეი ვიშინსკიმ წამოაყენა, შეეფერება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ზემოჩამოყალიბებულ პოზიციას პოლიტიკური კონფერენციის საკითხზე. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ წინადადებას.

რაც შეეხება პოლიტიკური კონფერენციის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების ფორმასა და პროცედურას, მისი სამეობანონი ფარგლებსა და მონაწილეთა შემადგენლობას, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი სავსებით ემთხვევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისს, და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს პოლიტიკური კონფერენციის საკითხზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის ზემოაღნიშნულ განცხადებას.

ჩვენ გონივრულად არ მიგვაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელმა სესიამ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები გამოიწვიოს კორეის საკითხის განხილვაში მონაწილეობიდან.

სიმართლე ამერიკის სამხედრო ტყვეთა განაკეგის შესახებ

რეპატრირებულ ტყვე ჩინელ სახალხო მოხალისეთა განცხადება

პეკინი,, 24 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

რეპატრირებულმა ტყვე ჩინელმა სახალხო მოხალისეებმა გუშინ სინხუას საგენტოს კორესპონდენტს გადასცეს პირი საპროტესტო განცხადებისა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელები ცუდად ეპყრობიან სამხედრო ტყვეებს და ძალით აკავებენ მათ. განცხადება გაგზავნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის კლარკის სახელზე.

„როცა ჩვენ ტყვედ ჩაგვიგდეს, — ნათქვამია განცხადებაში, — თქვენმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა გაგვჩხრიკეს და ჩამოგვართვეს ყველა ჩვენი პირადი ნივთი. ფეხსაცმელებიც კი გაგვხადეს. თქვენმა მხარემ გვაწამა, რათა ჩვენება მიეღო ჩვენგან. ბევრი ჩინელი სახალხო მოხალისე ოფიცერი ელექტროდენით აწამეს.

როცა სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მივყავდით, თქვენი ჯარისკაცები არც საჰმელს გვაძლევდნენ, არც სასმელს. ღამღამობით ტალახში გვაძინებდნენ, რამაც გამოიწვია დაავადება და სიკვდილის შემთხვევები.

როცა სამხედრო ტყვეთა ბანაკებს მივაღწიეთ, შორეულ აღმოსავლეთში თქვენი დაზვერვის წარმომადგენლებმა ხანგრძლივი, მომქანცველი დაკითხვა მოგვიწყეს. თქვენი ადამიანების მიერ მოწყობილი დაკითხვის დროს წამების გამო მეჯინიბე იძულებული იყო განეცხადებინა, რომ იგი მეთაურია, მზვერეული, რომ იგი დივიზიის მეთაურის მოადგილეა, ხოლო მეთევზე — კონტრ-ადმირალი. ასეთი მოქმედებით თქვენ სავსებით დაარღვიეთ ჟენევის კონვენცია, რომელშიც ნათქვამია, რომ არ შეიძლება სამხედრო ტყვე აიძულონ მისცეს რაიმე ჩვენება.

თქვენი ადამიანები განზრახ გვგდებდნენ აბუჩად. ისინი ხშირად გვაძიულებდნენ აწონის საბაბით გაგვხადა ტანისამოსი და ფეხსაცმელი და შიშველს გვატარებდნენ შენობებს გარეთ, ამასთან თქვენი ოფიცრები და ჯარისკაცები დაგვცინოდნენ. ცივ და ცხელ ამინდში მთელ დღეღამეს მძიმე სამუშაოს გვასრულებინებდნენ. საშიშ სამუშაოთა შედეგად, რომელსაც ჩვენ, სამხედრო ტყვეებს, გვასრულებინებდნენ, ბევრი ჩვენგანი მოკლულ იქნა ან დაიკრა. ასრულებინებდნენ რა კატორღულ სამუშაოს, სამხედრო ტყვეები ხშირად განიცდიდნენ ცემას თქვენი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მხრივ. ზოგიერთი ჩვენგანი მოკლულ იქნა ან დაიკრა. აუტანელი კატორღული შრომის, სიცივისა და შიმშილის გამო ბევრი სამხედრო ტყვე ინვალიდი გახდა.

თქვენი ადამიანები შიმშილით გვხოცავდნენ. გვეძლეოდა საშიმშილო ულუფა, რომელიც შედგებოდა ქერის, ხორბლის, ბრინჯისა და აყროლებული თევზისაგან. 1952 წლის ოქტომბრიდან თქვენს ადამიანებს ჩვენთვის არ მოუციათ ცხიმეული. შიმშილობის შედეგად ბევრ სამხედრო ტყვეს აკური დაემართა.

თქვენი ადამიანების მიერ მოცემული ტანისამოსი სიცივისაგან ვერ გვიფარავდა. ბევრ სამხედრო ტყვეს მოეყინა სხეულის სხვადასხვა ნაწილი. დიდხანს ნესტიან მიწაზე ვიწექით. ბანაკში არ ყოფილა არც ლოგინი, არც ჭილობი. ბევრ ჩვენგანს გაუჩნდა კანისა და სხვა სნეულებანი“.

განცხადებაში შემდეგ ნათქვამია: „თქვენ სამხედრო ტყვეთა ბანაკში მეთაურებად და ინსტრუქტორებად გამოგზავნეთ ტოკიოში მომზადებული მრავალი საიდუმლო აგენტი. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საიდუმლო აგენტ „ბ-ნ ჩანთან“ კუნძულ ტაივანიდან, აგრეთვე ამერიკის მოქალაქეებთან სახელად უ-ბო-ლისთან და კორეელ ხან ბიუნ იოკთან. ორი უკანასკნელი პასტორად მუშაობდა, ნამდვილად კი საიდუმლო აგენტებად იყვნენ ბანაკში. ეს ადამიანები კონტროლს უწევდნენ ბანაკს და სდევნიდნენ სამხედრო ტყვეებს. მათ შექმნეს ბანაკში „გომინდანის ჯგუფი“ და „ეროვნული ხსნის ანტიკომუნისტური კავშირი“. ისინი გვაიძულებდნენ გვემღერა რეაქციული სიმღერები და იძულებით გვასმენინებდნენ რეაქციულ პროპაგანდას. ისინი გვაიძულებდნენ თითების სისხლიანი ანაბეჭდი დაგვეწერა ტაივანს გაგზავნის შესახებ მოთხოვნაზე. ისინი გვაიძულებდნენ აგრეთვე გაგვეკეთებინა ეიროგლიფების სვირანგი „ანტიკომუნისტი“. ვინც უარს ამბობდა ხელისმოწერაზე ან სვირანგის გაკეთებაზე, ყველას აწამებდნენ“. „1952 წლის 8 აპრილს, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — თქვენმა ადამიანებმა უკანონო გადარჩევა მოაწყეს. მათ ჯერ დახოცეს სამხედრო ტყვეები იან ვენ ხუა და ლი სოე-პუ და ამოსჭრეს მათ გული, რათა დაეშინებინათ მათი ამხანაგები, ხოლო შემდეგ განაცხადეს, ასეთივე ბედი მოელის ყველას, ვინც გაბედავს და რეპატრიაციას მოითხოვსო. „შერჩევის“ დროს თქვენმა ადამიანებმა სხეული დაუგლიჯეს ასობით სამხედრო ტყვეს და ძლიერ სცემეს ბევრ სხვას. ამის შედეგად ბევრმა სამხედრო ტყვემ ვერ გაბედა თავისი ჭეშმარიტი სურვილი გამოეთქვა და რეპატრიაცია მოეთხოვა“.

განცხადებაში ნათქვამია, რომ 1952 წლის 1 ოქტომბერს კუნძულ ჩეჯუდოზე მასობრივად დახოცეს სამხედრო ტყვეები. „ტყვე ჩინელ სახალხო მოხალისეებისადმი ბოუტნერის 1952 წლის 2 ივნისის მიმართვაში, — ნათქვამია განცხადებაში, — აღნიშნული იყო, რომ ჩვენ შეგვეძლო ჩვენი სახელმწიფო ალამი გამოგვეკიდა ეროვნული დღესასწაულის დღეს. სამხედრო ტყვეთა ბანაკის ხელისუფლებმა მოგვცეს მასალა ალმების გასაკეთებლად. 1 ოქტომბრამდე რამდენჯერმე ვაცნობეთ ბანაკის ხელისუფლებს, რომ განზრახული გვქონდა გამოგვეკიდა ჩვენი სახელმწიფო ალამი. თქვენი ადამიანები ამის წინააღმდეგი არ იყვნენ. ეერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოვიდგენდით, რომ როცა ჩვენს სახელმწიფო ალამს გამოვკიდებდით, მთელ სამხედრო ტყვეთა ბანაკს გარს შემოარტყამდნენ ტანკებს. ამერიკის ჯარებმა პოლკოვნიკის ხარისხის მქონე ოფიცრის ხელმძღვანელობით მოაწყეს სამხედრო ტყვეთა მხეცური მასობრივი დახოცვა. 56 სამხედრო ტყვე მოკლულ იქნა და 109 დაიკრა. ეს წინასწარ განზრახული, წინასწარ დაგეგმილი მასობრივი მკვლელობა, რაც ამერიკის ჯარებმა ჩაიდინეს, ისეთი დანაშაულია, რომლის მსგავსი არ მოიპოვება ომების თანამედროვე ისტორიაში. საშინელ საშუალებებს, რომლებსაც ამერიკელებმა მიმართეს, ვერც კი წარმოიდგენენ ცივილიზებული ადამიანები“.

განცხადებაში შემდეგ ნათქვამია, რომ ამერიკელები ცუდად ეპყრობოდნენ საპყრობილეში ჩახმულ ან ჰოსპიტალში მოთავსებულ სამხედრო ტყვეებს. „როცა სამხედრო ტყვეს ეპატიჟებდნენ, უმოწყალოდ სცემდნენ. ბნელ შენობაში ჩაკეტილ სამხედრო ტყვეს ღღეში ერთხელ აძლევდნენ საჭმელს. ეგრეთწოდებული ჰოსპიტალი ნამდვილად ამერიკელთა სამხედრო სამედიცინო პერსონალის ლაბორატორია იყო. ბევრი სამხედრო ტყვე ინვალიდი გახდა ამერიკელთა სამედიცინო პერსონალის ექსპერიმენტების შედეგად. გამორკვეული არ არის, თუ რამდენი სამხედრო ტყვე დაიხოცა ჰოსპიტლებში მხეცური მოპყრობის შედეგად“.

განცხადების დასასრულს ნათქვამია: „ყოველივე ის, რაც ნაამბობია ამ განცხადებაში, — მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მხეცობისა, რაც თქვენმა მხარემ ჩაიდინა. მთელი მსოფლიოს ადამიანებისათვის ნათელია, რომ თქვენმა მხარემ ჩაიდინა დანაშაული, რაც გამოიხატა სამხედრო ტყვეთა გაჟლეტით და მათდამი მხეცური მოპყრობით, და ამით დაარღვია ჟენევის კონვენცია“.

მილიციარისტთა აქტივიზაცია ავსტრიაში

ვენა, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ზალცბურგერ ნახრიხტენი“ იუწყება, 21-22 აგვისტოს ინსბრუკში მოეწყო „ტიროლელ მსროლელთა“ შეხვედრა, რომელსაც აშკარად გამოხატული მილიტარისტული ხასიათი ჰქონდა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ყოფილმა ჰიტლერელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა. წარმოდგენილი იყვნენ ავსტრიის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის „მსროლელთა“ ორგანიზაციები.

ირანის ამბები

თეირანი, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ქეიხანი“ იუწყება, 23 აგვისტოსათვის ირანის პოლიციამ და სამხედრო ხელისუფლებმა დააპატიმრეს 200-ზე მეტი კაცი. დაპატიმრებული არიან მოსადიკი, მოსადიკის მთავრობის წევრები, მეჯლისის ფრაქციის „ეროვნული მოძრაობის“ წევრები, არმიისა და პოლიციის ოფიცრები, აგრეთვე მოსადიკის მთელი რიგი სხვა მომხრენი.

თეირანი, 25 აგვისტო. (საკდესი). ბრიგადის გენერალი ქემალი დაინიშნა ხუზისტანის პროვინციის გენერალ-გუბერნატორად, მოჰამედ ალი როუშანი — ისფაანის პროვინციის გენერალ-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლად, გაზეთ „დადის“ რედაქტორი ამიდი ნური დაინიშნა პრემიერ მინისტრის მოადგილედ პოლიტიკურ საკითხებში და პროპაგანდისა და ბეჭდვითი სიტყვის მთავარსამმართველოს უფროსად.

თეირანი, 25 აგვისტო. (საკდესი). 24 აგვისტოს საღამოს რადიოთი გადაცემულ იქნა სამხედრო გუბერნატორის მოთხოვნა, რომ 48 საათში დანებდნენ ხელისუფლებს შემდეგი პირნი: ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰოსეინ ფატემი, ყოფილი შრომის მინისტრი ალემი, მეჯლისის დეპუტატი ზირაქ ზადე, ყოფილი გზათა და კავშირგაბმულობის მინისტრი ჰაქშენასი, ყოფილი მეჯლისის თავჯდომარის მოადგილე რაზავი, ყოფილი იუსტიციის მინისტრის მოადგილე მალექ ისმაილი, მეჯლისის დეპუტატები სანჯაბი, ეგბალი, აგრეთვე პარვიზი, ჰათიბი, ჰალილ მალექი, მოჰამედ რეშადი.

პარიზი, 25 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება.

თეირანში მისი გარნიზონის გასაძლიერებლად ჩავიდა პროვინციული ცენტრების გარნიზონების თექვსმეტი ბატალიონი. ირანის დედაქალაქში ქვეითი შენაერთებისა და ჯავშანსატანკო ჯარების რაოდენობის თვალსაზრისით ესოდენ მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები ჯერ არასოდეს არ ყოფილა თავმყრილი.

როგორც თეირანში გამოირკვა, ის პირნი, რომელთაც ბრალად დასდეს ირანის მთავარი საპოლიციო სამმართველოს უფროსის გენერალ აფშარტუსის მოკვლა და რომელნიც დღემდე საპყრობილეში იყვნენ დაპატიმრებულნი, ახალი მთავრობის ბრძანებით გაბთავისუფლეს.

სასკოლო განათლების დაქვეითება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალ სასწავლო წელს სასკოლო შენობები არა აქვთ ათი მილიონი მოსწავლისათვის. მოსწავლეთა ორი მესამედი ისწავლის მოწაფეებით გაჭედილ სკოლებში. 500-650 ათასი ბავშვი ცვლების მიხედვით ისწავლის. 6 მილიონამდე ბავშვი ისწავლის ისეთ შენობებში, რომლებიც საშიშად არის მიჩნეული ხანძრის გაჩენის მხრივ.

როგორც განათლების საკითხთა რწმუნებული ტერსონი აღნიშნავს, მარტო დაწყებით სკოლებში აკლიათ დაახლოებით 70 ათასი მასწავლელი. ამ მასწავლებელთა რიცხვი, რომლებიც ხელს იღებენ თავიანთ პროფესიაზე, ან უფრო დიდხელფასიან სამუშაოზე დგებიან, გაცილებით მეტია, ვიდრე კოლეჯების მიერ გამოშვებულ მასწავლებელთა რიცხვი, ამის შედეგად „ისედაც ზედმეტად დატვირთული მასწავლებლები ასწავლიან მეტ მოწაფეებიან კლასებში, და ბევრი ოლქი იძულებული იქნება სამუშაოზე მიიღოს არასაკმაოდ მომზადებული პედაგოგები“.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა თვითნებობა ავსტრიაში

ვენა, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე“ იუწყება, ამერიკელი ხელისუფალნი ისწრაფვიან ავსტრიაში ამერიკის შეერთებული შტატების დაწესებულებებში მომუშავე ავსტრიელი მუშები და მოსამსახურეები დაუმორჩილონ ამერიკის შრომის კანონმდებლობას. ამას წინათ ავსტრიაში ამერიკის შეერთებული შტატების ყველა დაწესებულების ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ ავსტრიელები — ამერიკის დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები არ ექვემდებარებიან ავსტრიის ისეთი კანონების მოქმედებას, როგორიცაა კანონი საწარმოო საბჭოების წევრობის შესახებ, ხელფასის გადახდის წესის შესახებ და სხვ. ამერიკის შეერთებული შტატების დაწესებულებებში მომუშავე ყველა ავსტრიელსაკენ გაგზავნილ წერილში ამერიკის ადმინისტრაცია იტყობინება, რომ ვინც დაეინებით მოითხოვს ამ დაწესებულებებში ავსტრიის კანონების დაცვას, დაუყოვნებლივ დათხოვნილი იქნება.

ლიბანის დანაწილების ამერიკული პროექტი

ბეირუთი, 25 აგვისტო. (საკდესი). ლიბანის გაზეთი „ალ-ჰადაფი“ წერს, რომ, როგორც ცნობილი გახდა, სამხრეთ ლიბანის ერთ-ერთმა უდიდესმა მემამულემ პარლამენტის დეპუტატმა აჰმედ ალ-ასადმა, მას შემდეგ რაც პარლამენტის დაჯგუფებამ მისი მეთაურობით დამარცხება განიცადა პარლამენტის უკანასკნელ არჩევნებში, საუდის არაბეთის მეფეს იბნ საუდს მიმართა თხოვნით დახმარება აღმოუჩინოს მას ლიბანის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სამთავროს შექმნის პროექტის განხორციელების საქმეში.

ამ სამთავროს შემადგენლობაში, წერს გაზეთი, სურთ შეიყვანონ გალილეის ერთ-ერთი რაიონი და სამხრეთ ლიბანის რაიონი ჯებელ ამელი. ამ სამთავროს შექმნის შემდეგ აჰმედ ალ-ასადი, დინტერესებული წრეების აზრით, გამოცხადებული უნდა იქნას მის ემირად ამერიკის შეერთებული შტატებისა და საუდის არაბეთის მფარველობით.

აუფთქება ინგლისის ქარხანაში

ლონდონი, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბირმინჰამიდან იუწყება, დღეს ფოლადის მოწყობილობის მწარმოებელი ფირმის „ევერტრტ ლიმიტედის“ ქარხნის სამღებრო საამქროში მოხდა აფეთქება, რომლის შედეგადაც მოკლულია 2 და დაჭრილია 12 კაცი.

თბილისი

თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის 30-ზე მეტი მუშა ქალი თავისუფალ დროს მეცადინეობს ჭრა-კერვის წრეში, რომელიც ჩამოყალიბებულია ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში. სურათზე: კამვოლური და საქსოვი საამქროების მუშათა ჯგუფი ჭრა-კერვის წრეში მეცადინეობის დროს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

შეშა მოსახლეობისათვის

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათბობის მომარაგების განყოფილებას დედაქალაქის მოსახლეობისათვის შემოზიდული აქვს 32.000 კუბური მეტრი შეშა. გაფართოებულია საწყობთა ქსელი, დადგმულია სახერხი დაზგები. აქ მომხმარებლებს შეუძლიათ დაახერხინონ შეძენილი შეშა. მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით თბილისის ყველა რაიონში დამატებით გაიხსნება შეშის სავაჭრო მოძრავი წერტები.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სხვა სათბობი მასალების მომარაგებას. შემოზიდულია 1.000 ტონა ქვანახშირი. ამდენივე ქვანახშირი შემოზიდულ იქნება სექტემბერში.

სამარკო და ორიგინალური ქართული ღვინოები

წელს სამტრესტმა მნიშვნელოვნად გაადიდა სამარკო და ორიგინალური ღვინოების დამზადება. მესამე კვარტალში გამოშვებულ იქნება დაახლოებით 800 ათასი დეკალიტრი ქართული ღვინო №№ 1, 2, 3, 4, 6, 8, 23 და სხვ. დიდი რაოდენობით იქნება გამოშვებული ნახევრადტკბილი ნატურალური ღვინოები.

ყურძნის გადამუშავებისა და ქართული ღვინოების გამოშვების გადიდების მიზნით რესპუბლიკაში შენდება ღვინის ახალი ქარხნები. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ბადიაურის, ქისტაურის, ყვარლის, ველისციხის, ოჩხის, წოთელი ხევის, სიმონეთის და გეგეჭკორის ღვინის ქარხნები. რესპუბლიკაში ღვინის გამოშვება 570 ათასი დეკალიტრით გაიზრდება.

სპარტაკიადაში გამარჯვებულნი

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სასპორტო ბაზებზე რამდენიმე კვირას გრძელდებოდა თბილისის საფაბრიკო-საქარხნო ტრადიციული სპარტაკიადა 1.600-მდე სპორტსმენის მონაწილეობით.

შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივები გაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. პროგრამაში შედიოდა სპორტის 11 სახეობა. პირველ ჯგუფში საერთო მაჩვენებლების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა 26 კომისრის რაიონის მუშა-ახალგაზრდობის გუნდი, რომელმაც 6 პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტსმენთა კოლექტივი, მესამეზე — ჯიროვის სახელობის ქარხნის გუნდი.

მეორე ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდნენ 26 კომისრის სახელობის ქარხნის სპორტსმენები. გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის

კიროვის რაიონში

⊙ გრიშაშვილის ქუჩაზე მთავრდება ორი ახალი 16-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ერთი მათგანი საექსპლოატაციოდ გადაეცემა აგვისტოს ბოლოს, მეორე — სექტემბრის შუა რიცხვებში.

⊙ მეტეხის ახალ ხიდთან მოეწყო სკვერი. დარგულია მარადმწვანე ხეები, ბუჩქები, ყვავილები. ახალი გაზონები გაკეთებულია ლესელიძის, შავთელის და მიასნიკოვის ქუჩებზე, აგრეთვე 300 არაგველისა და ალავერდოვის ბაღში, ერეკლეს მოედანზე. 300 არაგველისა და ალავერდოვის ბაღებთან კაპიტალურად შეკეთდა მისასვლელი გზები. 300 არაგველის ბაღს უკეთდება ქვიტკირის ღამაზი გალავანი.

⊙ დიდი სამუშაო შესრულდა რაიონის ქუჩების კეთილმოსაწყობად. მოიკირწყლა და ტროტუარები გაუკეთდა მეოთხე ნადიკვარის, ახოსპირელის, ივანიძის, ნახშირის, თელეთის, კრწანისისა და გიორგაშვილის ქუჩებს. შეკეთდა და ახალი ბორდიური გაკეთდა 3.235 გრძივ მეტრზე. ამ სამუშაოებზე აგვისტოსათვის დახარჯული იყო 281 ათასი მანეთი.

⊙ „ტყის დღესთან“ დაკავშირებით რაიონში დარგული ხეებისა და ბუჩქების მოსარწყავად მარნეულის გზატკეცილზე დაიდგა ახალი წყალსაჭაჩი სარწყავი მილებით, რომლებითაც იარწყვება 7 ჰექტარი სხვადასხვა მწვანე ნარგავი. ნორმალური რწყვისა და კარგი მოვლის შედეგად მცენარეთა გახარებამ თითქმის ას პროცენტს მიაღწია.

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში

გუშინ ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში ალბანეთის ნაკრებ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის.

ანგარიში გახსნეს ლენინგრადელებმა. 37-ე წუთზე ბურთი გაიტანა მარცხენა შუამბრძმა ვ. დობრიკოვმა. 6 წუთის შემდეგ „ზენიტის“ გუნდის მარცხენა გარემამბმა ა. ივანოვმა მეორე ბურთი გაიტანა სტუმრების კარში.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ლენინგრადელთა სასარგებლოდ 2:0.

მეორე ტაიმში ალბ